# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 169 პარასკევი, 31 ივლისი 1909 წ. № 169

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. პატარა და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


**ივდიტე დავითის ასული, ნატალია ბეჟანის ასული, ვასილ, დავითი და ნიკოლოოზ, სოფიო ალექსის ასული და თეფლო კონსტანტინეს ასული ნევსაძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას შვილის, მეორე—დაუვიწყარ მეუღლის და დანარჩენნი—საყვარელ მამის და მამამთილის

## გიორგი (იაგორ) ნიკოლოზის ძის ნევსაძის.

პანაშვიდები ყოველ დილა-საღამოს. დაკრძალვა მოხდება სოფელ ქვიშხეთში შაბათს, 1 აგვისტოს, დილის 10 საათზე. (1—386—1)

**ივანე, თებრონია, ალექსი, ბენიამინე და ნინო მირიანაშვილები** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარის—შვილის, მეორის—ძმის, უკანასკნელის რძლის და მასწავლებლის

## არჩილ ივანეს ძის მირიანაშვილის

დაკრძალვა, ხვალ, შაბათს, 1 აგვისტოს. სოფელ ანაგაში (სიღნ. მაზ.)


**ექიმი ა. ს. ალადიშვილი** ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსლოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—24)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—25)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში 1 ივლისიდაა ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—30)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ზ. მაზაკიანი.** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭავაძისა. (100—ხალ.—4)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791 (9. 124)

**კაბინეტი** კბილის საექიმო **ა. ა. თათევოსოვი** (ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიხერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—19)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ბოტონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—208)

**დაიბეჭდა ქართული პიესები: „უშნო არშიყი"**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო"**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში"**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის" წიგნის მაღაზიაში. ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტ.-თან საკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—3)

**მთავრობა ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლისა** ამით აცხადებს, რომ ხელმეორე და მისაღები ეგზამენები დაიწყება 21 აგვისტოს. მიღება შეიძლება სასწავლებლის ყველა კლასში, გარდა პირველ და მეექვსე კლასისა, სადაც თავისუფალი ადგილი არ არის.

უკანასკნელ დღედ თხოვნების მიღებისა დანიშნულია 17 აგვისტოს. (3—6.—1)

## საქარის

**ამერიკულ ვაზის სანერგე**

ამით აცხადებს, რომ შეკვეთა სანერგეში ყოველივე დასარგავ მასალისა ფოსტით შეიძლება მხოლოდ პირველ დეკემბრამდე. პირადად შეკვეთა კი შეიძლება 1, 2 და 3 დეკემბერს, ამას გარდა, პირადად შეკვეთა მასალისა პირველ დეკემბრამდე შეიძლება ქალაქ ოზურგეთში. ოზურგეთის საცდელ პლანტაციის გამგესთან—ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებისათვის, აგრეთვე სოფელ დერჩში (ლეჩხუმის მაზრაში ინსტრუქტორ ყანთან-რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებისათვის.

მასალის შეკვეთის დროს უნდა წარმოდგენილ იქმნეს ბე არა ნაკლებ ორ სხვ[illegible]თისა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეკვეთილი მასალა არ დამზადდება.

ქუთაისის და შორაპნის მაზრის მცხოვრებთა დამყნილი ვაზი, გარდა ოლქასი, არ მიეცემათ.

შემკვეთელთა სურვილისამებრ შეკვეთილი მასალა წასაღებად გაიგზავნება ოზურგეთის პლანტაციაში, ს. დერჩში—ინსტრუქტორ ყანთან ან კიდევ რკინის გზის რომელსამე სადგურზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეკვეთილ მასალის მთელი ფასი წინდაწინვე უნდა იქმნეს გადახდილი. (4—6.—3)

## შპალიერი

**ძმ. ტარნოპოლების**

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 22)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ი. ზ. ფეოდოროვა**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

**ბ. ა. პოპოვა**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გოგმართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.,

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—121)


## ტფილისი 31 ივლისი

საპარლამენტო ვაკაციების დროს წინად რუსეთის სარეაქციო ბანაკში აურ-ზაური ასტყდებოდა ხოლმე სათათბიროს წინააღმდეგ, იწყებოდა ინტრიგები მაღალ წრეებში „ახალ წესწყობილების" წინააღმდეგ და ჰაერი იწამლებოდა მრავალის მითქმა-მოთქმით „შეთქმულების" შესახებ. „შეთქმულებას" უმთავრესად სახეში ჰყავდა სტოლიპინი: სტოლიპინი სამსახურიდან უნდა გადადგესო და მასთან ერთად სათათბიროს საკანონმდებლო როლსაც ბოლო უნდა მოეღოსო. ეს განგაში და მითქმა-მოთქმა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა საზოგადოებაზე და აორკეცებდა იმ სასოწარკვეთილებას, რომელმაც შეიპყრო რუსთა პროგრესიული ბანაკი უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში.

წელს-კი, მიმდინარე საპარლამენტო ვაკაციების დროს, სხვა სურათს ვხედავთ და სხვაგვარ ამბების მოწამენი ვხდებით. ერთის მხრით, სარეაქციო ბანაკში წინანდელი საიერიშო განწყობილება აღარ არის, პირიქით. დაბნეულობა ეტყობათ და უფრო მოგერებით პოლიტიკას ადგანან. მეორეს მხრით, პროგრესიულ ბანაკში რაღაც იმედები დაიბადა და ახლო მომავალს წინანდელის შიშით აღარ მოელიან...

ზაფხული დაიწყო პოლტავის გამარჯვების 200 წლის იუბილეის დღესასწაულით. დიდის ამბით მოელოდნენ შავრაზმელნი ამ დღესასწაულს. მზადება იყო გრანდიოზულის პატრიოტულის მანიფესტაციისთვის. პოლტავაში თავი უნდა მოეყარა 200—300 ათას ჭეშმარიტ რუსს. ამ მანიფესტაციას დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა უმაღლეს წრეებზე, სარეაქციო წრეებს უნდა ესარგებლნათ ამ შთაბეჭდილებით და თავიანთი დიდიხნის განზრახვა „კონსტიტუციის" წინააღმდეგ სისრულეში უნდა მოეყვანათ. მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ: მთავრობამ ღონისძიებანი მიიღო, ნება არ დართო და პოლტავის დღესასწაულებს უბრალო სამხედრო დღესასწაულის ხასიათი მიეცა. „ჭეშმარიტ რუსთა ძლევა-მოსილი კავშირი" უძლური გამოდგა და მთავრობის განკარგულებას ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია...

ამ პირველს დამარცხებას მალე სხვა გვარი დამარცხებანიც მოჰყვა. სათათბიროს წევრთა მოგზაურობამ პარიზსა და ლონდონში გულს ლახვარი დასცა ჭეშმარიტ-რუსთა კავშირს. რუსეთში პარლამენტი არ არსებობს და უცხოეთისკენ გამგზავრებულნი „სამოზვანცები" არიანო, გაჰკიოდნენ „ჭეშმარიტნი". მაგრამ ლონდონსა და პარიზში დეპუტატები მიიღეს, როგორც პარლამენტის წარმომადგენელნი, უცხო სახელმწიფოთა მთავრობებმა ხაზგასმით აღიარეს სიხარული, რომ რუსეთის სახალხო წარმომადგენლობის დეპუტატებს იღებენ და თვით რუსეთის საელჩოების მაღალ ბიუროკრატებს საქვეყნოდ უნდა ეღიარებინათ რუსეთში „კონსტიტუციის" დამყარება. ბოლოს, კოუსში მომხდარმა შეხვედრამ და იმპერატორის სიტყვამ, რომელშიაც მადლობა გადაუხადა ინგლისის მთავრობას „დეპუტატების მოწყალედ მიღებისა გამო", ნამდვილ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ჭეშმარიტი რუსნი...

მეორეს მხრით, ამ თავისთავად პატარა ფაქტებმა რუსეთის ლიბერალურ წრეებში, როგორცა ვთქვით, იმედები დაჰბადა. კვლავ დაიწყო მითქმა-მოთქმა „კურსის შეცვლაზე": მალე ამნისტია გამოცხადდებაო, მალე კადეტთა პარტიის ლეგალიზაცია მოხდებაო, განსაკუთრებულ დაცვის წესები მოისპობაო და სხვა.

როგორცა ჰხედავთ, გარეგანის მხრით მართლა დიდი განსხვავებაა ახლანდელსა და წინანდელს საპარლამენტო ვაკაციების დროთა შორის. არა-თუ არა ვხედავთ „შეთქმულებასა" და აგიტაციას სათათბიროს წინააღმდეგ, არამედ მოწამენი ვართ იმ ამბისა, რომ „მავრი" იძულებულია მი[illegible] პოლიტიკა მოგერებით პოლი[illegible]ალოს. ეს მართალია, მაგრამ [illegible] შეცდომა იქნება ზედმეტი [illegible] მიეცეთ და გადავაფასოთ მთელი ეს გარემოება. ამ ამბებმა ხაზი გაუსვეს მხოლოდ იმას, რაც თავისთავად ცხადი იყო: მმართველი ბიუროკრატია შეურიგდა სათათბიროს, შეურიგდა იმ ახალ წესწყობილებას, რომელიც ბოლო წლებში დამყარდა რუსეთში,—შეურიგდა, რადგან, ერთის მხრით, იძულებული გახდა დროთა ვითარებისაგან და, მეორეს მხრით, რადგან „ახალი წესწყობილება" მისთვის მაინც და მაინც საშიში არ გამოდგა.

ეს შერიგება მოახდინა 3 ივნისის კანონმა, რომელმაც დიდი ხნით უზრუნველჰყო მორჩილ სათათბიროს არსებობა. მესამე სათათბიროს ორი წლის არსებობამ და მოღვაწეობამ ცხადჰყო, რომ მმართველი ბიუროკრატია უკიდურეს რეაქციონერებს არ გაჰყვება და სათათბიროს არ მოსპობს, არც საკანონმდებლო უფლებას წაართმევს. მესამე სათათბირომ დაუმტკიცა ბიუროკრატიას, რომ დიდის ხნით უზრუნველყოფილია ის რეჟიმი, რომელსაც საზღვარ-გარედ მოსწრებული სახელი დაარქვეს-თვითმპყრობელი კონსტიტუცია. რა-კი სამი ივნისის „პერევოროტმა" რუსეთის სახალხო წარმომადგენლობითი საქმე ხელში ჩაუგდო თავად-აზნაურობასა და მსხვილ ბურჟუაზიას, მმართველი ბიუროკრატიაც იმ იმედით გაიმსჭვალა, რომ დიდის ხნით მისი ნამდვილი ბატონობა უზრუნველ-ყოფილია: სახელი სახალხო წარმომადგენლობას, სახრავი მას, განათლებულ ევროპის თვალში პრესტიჟის დამსახურება, როგორც საკონსტიტუციო მთავრობისა, შინ-კი ზურგი გამაგრებული მორჩილის „პარლამენტით". უკეთესი ყოფა სანატრელი აღარ არის! „მავრმა"-კი ეს ვერ გაიგო და უფრო შორს წასვლას აპირებდა. მთავრობას მოჰპეზრდა „მავრის" მხრით ასეთი გაუგებრობა და ამ ჟამად გაკვეთილებს აძლევს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს". შავრაზმელთა ეს ბანაკი რომ სერიოზულ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს და მხოლოდ მმართველ წრეების დახმარებითა და ნებით იყო სულდგმული, ეს ცხადია და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობის გაკვეთილები უქმად არ ჩაივლის და ჭეშმარიტ რუსთა კავშირიც მალე შეურიგდება სათათბიროს და იმ კონსტიტუციას, რომელიც 3 ივნისის კანონმა დაამყარა...

ამაზე მეტი მნიშვნელობა დღევანდელ ამბებს არა აქვთ. არავითარი „შეცვლა კურსისა" მოსალოდნელი არ არის და ყველაფერი უცვლელად დარჩება. აღსანიშნავია, რომ უცხოეთის ლიბერალურ წრეებსაც-კი უკეთესი წარმოდგენა აქვთ რუსეთის შინაურ პოლიტიკის აწმყოსა და ახლო მომავალზე, ვიდრე რუს ლიბერალურ ბანაკს. მაშინ როდესაც უკანასკნელი ოცნებას მიეცა „სიმპტომატიურ ამბების" გამო, ინგლისის პროგრესიულ ბანაკის წარმომადგენლებმა სასოწარკვეთილებით გამსჭვალული ეპისტოლე გაუგზავნეს ედუარდ გრეის რუსეთის შინაურ მდგომარეობის შესახებ. რუსის ხალხის მდგომარეობა აუტანელია, არაფერი არ ამტკიცებს, რომ ეს მდგომარეობა თავის-თავად მალე შეიცვლება და ინგლისის მთავრობამ რაიმე გავლენა იქონიოს რუსეთის მმართველ წრეებზეო, შეაგნებინოს მას კურსის შეცვლის საჭიროებაო. შესაძლებელია, ამ მხრით ინგლისის მაღალმა წრეებმა კიდეც სცადეს რამე და უკანასკნელ დღეებში რუსულ პრესსის მიერ გავრცელებული ზოგი ხმა კიდეც გამართლდეს, მაგრამ თვალსაჩინო რამ ცვლილების მოწმენი კიდევ დიდხანს რომ ვერ გავხდებით,—ეს ცხადია: „საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა" ჯერაც არაა კეთილსაიმედო ახალგაზდა რუსეთისათვის და სიტყვა **კონსტიტუციის** ფრჩხილებში მომწყვდევა კიდევ დიდხანს იქნება საჭირო...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სამეურნეო გაზეთ „მოსავალის" უკანასკნელ ნომერში (6) დაბეჭდილია ბ-ნ ეგ. იოსელიანის წერილი ამ სათაურით „ძველი კითხვა ახალ პირობებში", ავტორი ამბობს:

ტფილისის გაზეთებმა ამ ერთი თვის წინად დაბეჭდეს ნამესტნიკის ცირკულიარი ერობის შემოღების შესახებ. ამ ცირკულიარში მოყვანილია ერობის პროექტიც თვით ნამესტნიკისაგან მოფიქრებული დღევანდელ კულტურულ და ეკონომიურ მდგომარეობის მიხედვით. ეს პროექტი ხელმწიფის ბრძანებით განხილულ იქმნა მინისტრთა საბჭოში, რომელმაც ის აზრი გამოიტანა, რომ იგი პროექტი ძრიელ რთულია და განსახორციელებლად ძნელი აქაურ ხალხის უკულტურობისა და სიღარიბისა გამო. მინისტრთა საბჭო უფრო შესაძლებლად ჰრაცხს ორ ნაირს სხვადასხვა ერობის შემოღებას—ერთი სოფლის ერთეული და მეორე სამაზრო, ან საგუბერნიო ერთეული, სოლო გადაწყვეტილი რამ არა დაუდგენია რა, ვინაიდგან საჭიროდ სცნო მასალის მოგროვება და ადგილობრივ დაწვრილებით შემუშავება საკითხისა.

მე მინდა მინისტრთა საბჭოს ამ შენიშვნებით გამოწვეული ზოგადი აზრი გაუზიარო მკითხველს.

ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ ქართველ საზოგადოებას არა ერთხელ მიუმართავს თხოვნით მართველობისათვის ერობის დაწესების შესახებ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. ეს მიმართვა გამოწვეოდა იმითი, რომ ქართველი ერი ვერ მიმხვდარიყო, თუ ნაირად შეიძლება მიწა-წყლის შესახები საქმეების მართვა იმ პირთაგან, თუნდა ადმინისტრაციისაგან, რომელნიც ამ მიწა წყლის მცხოვრებს არ ეკუთვნიან და არც რამეს ჰკითხავენ მათ.

ერი თავის მდგომარეობას ბალღის მდგომარეობასთან ადარებდა და ცდილობდა ამ აპეკიდან დაეხსნა თავი, თითონ გამხდარიყო თავისი მიწა-წყლის მომვლელი...

1864 წ. დაწესებულ იქმნა შიდა რუსეთის 33 გუბერნიაში ერობა და დაევალა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ყოველი ღონისძიება ეხმარა ერობის მთელ იმპერიაში დასაწესებლად.

დაპირება არ განახორციელეს, „თუმცა თვით სამინისტრო აღიარებდა, რომ აწინდელი მართვა-გამგეობა სამიწა-წყლო საქმეებისა ველარ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას და კანონსაც ეწინააღმდეგებაო". 1896 წელსაც დაავალა სახ. საბჭომ სამინისტროს ერობის შემოღება. ამას გარდა კავკასიის უფროსმა დონდუკოვ-კორსაკოვმაც თავის მხრივ წარადგინა მოხსენება, ერობის შემოღების საჭიროების შესახებ. ბევრი ჭეშმარიტი აზრი იყო გამოთქმული ამ მოხსენებაში, მაგრამ ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩა.

ამ ოცდაათი წლის წინად ი. ჭავჭავაძემ დაბეჭდა რამდენიმე წერილი სოფლის ყოფა-ცხოვრებისა და სოფლის თვითმართველობის შესახებ. განსვენებული სწერდა: „უმთავრესი კუთვნილებანი თვითმმართველობისა არიან: 1) საქმეთა ადგილობრივი გასამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხლობა; 2) უმაღლესი მართველობისაგან გაწერილი ხარჯისა ბეგარის და სამსახურის ადგილობრივ მცხოვრებთა შორის განაწილება; 3) ადგილობრივის საჭიროებისთვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედან შემოსულის ფულის თავისუფლად გამგეობა; 4) სხვა და სხვა წესისა და რიგის დადგენის უფლებრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდნენ; 5) ადგილობრივის პირველ დაწყებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა; 6) ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება; 7) ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თადარიგის დაჭერა და ღონისძიების მოპოვება; 8) ადგილობრივი გზების, ხიდების გაკეთება; 9) უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასზედა, რაც ადგილობრივ საზოგადოების მოთხოვნილებას შეადგენს"...

ამავე საქმეს განაგებდა თითქმის ერობა 1864 წლისაც შემოღებული შიდა რუსეთის 33 გუბერნიაში. მაშ რაა მიზეზი, რომ ასე ფრთხილობენ და აგვიანებენ მის შემოღებას ჩვენში დღემდე? მართველობის პასუხი ამ კითხვებზე მუდამ ერთი და იგივეა: „სუსტი ხართ კულტურით, ღარიბნი, ვერ გაუძლებთ საერობო საქმეებსაო".

საკვირველია ღმერთმანი! რუსეთი განთავისუფლდა ბატონყმობიდან 19 თებერვალს 1861 წელს. სამის წლის შემდეგ, 1864 წელს, ბატონი და ყმა ერთმანეთს ამოუყენეს გვერდში საერობო საქმეების მართვა-გამგებლობაში იმ დროს, როდესაც ამ 33 გუბერნიაში უბრალო წერაც კი არ იყო გავრცელებული და მით არაფერი დაშავებულა. საქართველოში ყმა განთავისუფლდა 1864 წელს, მას აქეთ აგერ სამი კი არა ორმოცდა სამ წელზედაც მეტია გასული, აღარც სოფელია ის, რაც ამ ორმოცი წლის წინად იყო, მაგრამ მაინც ისევ იმას გაიძახიან, ისევ უარყოფენ გამოცდილებას შინაურსაც და გარეულსაც.

იმავე დროს, როცა ჩვენში გადავარდა ბატონ-ყმობა, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაანთავისუფლეს ზანგები და მისცეს მათ სრული მოქალაქობრივი უფლებები.

ჩვენ, ათას ხუთასი წლის კულტურის მქონეთ კი, გვეუბნებიან საერობო საქმეების მოვლას ვერ შესძლებთო, ღარიბები ხართო.

განა სიღარიბე შესაძლოა დამაბრკოლებელი მიზეზი იყოს თვითმართველობის შემოღებისა? რეფორმა სომ ყოველთვის ჰმატებს ხალხს მუშაობის უნარს, აუმჯობესებს კანონებს და მით უადვილებს მას სიმდიდრის შეძენას, რათა თვით შრომას ჰხდის უფრო ნაყოფიერს. თუ სადმე რეფორმას გამოუწვევია ახალი ხარჯი, იგი ერთი-ორად დაბრუნებია კიდევაც ხალხს. არა ყოფილა მაგალითი, რომ თვითმმართველობას რომელიმე ერი დაეზარალებინოს.

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, მთავრობამ თვით რუსეთში როგორ შეჰკვეცა და დაამახინჯა ერობა. ამისი „შედეგი იყო ის, რომ მოღვაწეობა ერობაში მიეცა გუბერნატორის განკარგულებას, რის გამო მრავალი გამოცდილი და სანატრელი მოღვაწე ჩამოშორდა საზოგადო საქმეებს. დღესაც თუ ჩვენთვის განზრახულ ერობის ორგანიზაციას ჩვენი „მოუმზადებლობა", „სიღარიბე" დაედო სათავეში, უეჭველია პრინციპი თვითმმართველობისა დამახინჯებული გამოვა".

დასასრულ ავტორი ამბობს:

ღარიბები ხართო. მართალია, ქართველი ერი ღარიბია, მაგრამ განა სხვა ერები კი სიმდიდრეში არიან დაბადებულნი? სიმდიდრე სომ, როგორც ძველად ამბობდნენ, შეძენილი საუნჯეა, რომ მდიდრები ვიყვნეთ და საზოგადოებრივი ცხოვრების გარემოებაც ხელს გვიწყობდეს უფრო მეტი სიმდიდრის შეძენაში, სომ აღარც წეს-წყობილების შეცვლას მოვისურვებდით. სამწუხაროც ის არის, რომ ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ ჩვენმა ცხოვრებამ მხოლოდ ჩარჩობა გახადა სიმდიდრის შეძენის უპირველეს წყაროდ. ამიერიდან ჩარჩი ღრღნის ხალხს ისე, როგორც ჭია ხეს. რომ სოფელმა შეძლოს განთავისუფლება ამ დამღრავებულ მდგომარეობიდან, საჭიროა ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც მის კეთილდღეობას გაუწევენ სამსახურს. ერობა ქართველ ხალხისთვის საჭიროა როგორც სახსარი ეკონომიურ განმტკიცებისა. ერობამ ერს უნდა მიანიჭოს თავის მიწა-წყლის საქმეების გამგებლობა თორემ უცნაური ამბავი ხდება. აგერ თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე მიდის, ადმინისტრაცია განაგებს საქმეებს—აკეთებს გზებს, ხიდებს, აშენებს სკოლებს, ნიშნავს ექიმებს და სხვა; ყველა ამის ხარჯს ხალხის გარდასახადიდან ხარჯავენ, ანგარიში და-

ნახარჯისა სხვას ქმლევა, თვით ხალხს, როგორც მცირე წლოვანს, არაფერს ჰკითხვენ და ამ ხალხს კი უკიჟინებენ სიღარიბესა და კულტურის სისუსტეს. თქვენ კაი ხულნი, ხალხიდან აღზრდილი მის საქმეებზედვე დასახარჯავად გარდასახადი და ყოველი ზრუნვა ამ ხალხის გაკულტურებაზე თქვენს ხელში იყო და არის ეს ნახევარი საუკუნეა, მაშ რატომ მაგ კითხვებით—რად ვართ აქამდე ღარიბნი და კულტურით სუსტნი—მათ არ მიმართავთ, ვინც ხელმძღვანელობდა ხაზღვლი საქმეებში? ჩვენც ვგრძნობთ ამ ჩვენს სიღარიბეს და აი ზწორედ ამიტომ გვინდა, რომ მოგვეცეს უფლება ჩვენი მიწა-წყლის საქმეები ჩვენვე გაწარმოვოთ. თორემ როდემდე უნდა იყოს ასე: ერთი ხარჯავდეს, მეორე პასუხს აგებდეს.

# საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ივლისი

**სტოკჰოლმი.** გამოვიდა დილის თითქმის ყველა გაზეთი, თუმცა პატარა ფორმატით. რადგან სტამბის მუშები გაიფიცნენ, ამიტომ ჟურნალისტებმა კრება გამართეს. მალმის ტრამვაის მუშები მუშაობენ. სოფლებიდან სანოვაგე ჩამოაქვთ. ნავთსადგურებში მუშაობა წინანდელზე ნაკლებადაა, გემები დადიან, თუმცა იგვიანებენ.

სალამოს გაზეთები გამოვიდნენ პატარა ფორმატით. ქალაქის ტრამვაის მუშებმა გადასწყვიტეს, გაფიცვა გააგრძელონ. ტრამვაის ადმინისტრაციამ 29 ივლისს შეეცადა მუშაობა აღედგინა. ტრამვაი მაღალ მოსამსახურეების შემწეობით. 28 ივლისს ორი დიდი ქარხნის მუშებმა გადასწყვიტეს, მუშაობას შეუდგნენ; რაიც უკვე სისრულეში მოიყვანეს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და აასრულა კიდეც. ბოკსჰოლმის რკინის 400 მუშამ.

სამგზავრო და საქონლის მატარებლები შეუჩერებლივ დადიან. ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, ქალაქის განათება და სხვა დაწესებულებანი წესიერად სწარმოებენ. ბირჟა დაკეტილია. სანოვაგე საკმაოა. მთელ შვეციაში წესიერება არავის დაურღვევია.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

გაფიცვისაგან ყოველ დღე 3 მილიონი კრონი (1 კრონი—66 კაპ.) ზარალი მოსდის შვეციას.

გაზეთები აღარ გამოდის; მათ ბადლად გამოდის ფურცლები, მიმეოგრაფზე დაბეჭდილი.

ტელეგრაფის მოსამსახურეებმა ერთხმად გადასწყვიტეს, გაფიცვას მივემხროთო. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა უფროსმა გამოაცხადა, რომ ახლანდელ წესდების ძალით, მოსამსახურენი დაუყოვნებლივ იქნებიან დათხოვნილნი, თუ გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებენო.

25 ივლისს გაფიცულმა მუშებმა, მთავრობის თანხმობით, სტოკჰოლმს გარედ მოახდინეს დიდებული კრება, რომელშიაც 40 ათასამდე მუშამ მიიღო მონაწილეობა. პოლიცია არ დაესწრო კრებას. წესიერების დაცვა თითონ მუშებმა იკისრეს.

კრება გაიხსნა მუშათა მგალობელ ხოროს მწყობრის სიმღერით. შემდეგ გაფიცვის კომიტეტის ერთერთმა წევრმა დინჯი, დალაგებული სიტყვა წარმოსთქვა; მან ახსნა გაფიცვის მიზეზი და წესიერების დაცვა ურჩია გაფიცულ მუშებს. ორატორმა სთქვა:

— ჩვენ გავიმარჯვებთ ზნეობრივ ძალით და არა შფოთიანის დემონსტრაციებით.

დასასრულ ორატორმა კრებას წარუდგინა კომიტეტის დადგენილება, რო სტამბების და რკინის გზების მუშებიც უნდა მიემხრნენ გაფიცვასაო, და თან იკითხა: „ვინ არის ამის წინაალმდეგიო?“—არავინ არ ამოიღო ხმა.

ამის შემდეგ, როგორც უკვე ვიცით, სტამბისა და რკინის გზის მუშებიც გაიფიცნენ.

კრების გათავების შემდეგ ეს აუარებელი მუშა ხალხი მშვიდობიანად დაიშალა.

ყველა მიმართულების გაზეთები ერთხმად აქებენ მუშების იშვიათ დისციპლინას, თავდაჭერილობას და წესიერ ქცევას.

ზღვით მიმოსვლა ფინლიანდიისა და რუსეთისკენ არ შესწყდება, რადგან იმ გემებზე, რომლებიც შვეციიდან ფინლიანდიასა და რუსეთში მიდი-მოდიან, სულ ფინლიანდიელნი მეზღვაურები მსახურებენ.

მუშების მტრები ბევრს სულელურს ხმასავრცელებენ იმ აზრით, რომ საზოგადოებას მუშები შეაძულონ. ასე, მაგალითად, ამბობენ, რომ გაფიცვა გამოიწვია რუსის მეფაბრიკეების საიდუმლო აგიტაციამ: რუსებს შვეციის მრეწველობის დაცემა უნდათო.

რამდენსამე ოლქში ახალი ჯარისკაცები ყაზარმებიდან გამოვიდნენ მარსელიეზის მღერით და თანაგრძნობის დემონსტრაციები გაუმართეს გაფიცულ მუშებს.

გეტებორგიდან ამბავი მოვიდა სტოკჰოლმში: „აქაურ დინამიტის საწყობიდან ხელმეორედ მოიპარეს დინამიტი. ჰფიქრობენ, რომ ვიღაცები ტერორისტულ აქტს ამზადებენო“.

„რუსკ. ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ სტოკჰოლმიდან: საყოველთაო გაფიცვა შვეციაში ძლიერდება, ყველა პარტიის მუშა მიემხრო გაფიცვას. სოფლის მუშებიც თანაუგრძნობენ გაფიცულ მუშებს და თითონაც აპირებენ გაფიცვას. ჰფიქრობენ, რომ ბრძოლა დიდხანს გასტანს. მუშებმა დიდი მიტინგი გამართეს და დაადგინეს, ყოველი ღონისძიება მივიღოთ ჩვენის მოთხოვნის შესასრულებლადაო. მიტინგის შემდეგ მუშებმა სრულის წესითა და რიგით გაიარეს მეფის სასახლის წინ.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

30 ივლისი

### ს პ ა რ ს ე თ ი

**ლონდონი.** „ტაიმს“ თეირანიდან ატყობინებენ: ამ დღეებში ადერბეიჯანში წავა სპარსეთის ქვეითთა ჯარის ორი პოლკი, 300 ცხენოსანი და 200 ყაზახი. მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს რაზმი და ადგილობრივი ჯარის ორი პოლკი შეიძლებენ წესიერების აღდგენას და ამით დააკმაყოფილებს რუსეთის მთავრობას, რომელიც წესიერების აღდგენას თხოულობს. რეშტში დააპატიმრეს პრინცი ზილი-სულთანი. ამის გამო მთავრობამ რეშტში გაჰგზავნა თავისი კაცი, რომელმაც ზილი-სულთანს მთავრობის სასარგებლოდ 200,000 გირვანქა ძოლთხოვა. ზილი-სულთანი უარჰყო ფულის გადახდაზე. ის მთავრობას შეეკითხა, ასეთი მოქმედება ეთანხმება თუ არა კონსტიტუციასაო.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭო დაკმაყოფილდა საბერძნეთის მთავრობის საპასუხო ნოტით, თუმცა ნოტის ზოგიერთი მუხლი განმარტებას საჭიროებს. ამრიგად, საჭირო აღარ არის ზოგიერთ ზომების მიღება, რომ საბერძნეთის მთავრობაზე გავლენა იქონიონ.

**სალონიკი.** აგვისტოში მოხდება მაკედონიის სხვა და სხვა პოლიტიკურ და ეროვნულ პარტიის კრება

### საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს პეკინიდან ატყობინებენ: იაპონიამ ჩინეთის იმ ნოტაზე, რომელშიაც ჩინეთი თანხმობას აცხადებს და ანდუნ-მუკდენის რკინის გზის გაყვანაზე, ჩინეთს საპასუხო ნოტა გამოუგზავნა. ნოტაში ნათქვამია, სასურველია, რომ სხვა საკამათო საკითხების შესახებაც განვაახლოთ მოლაპარაკებაო. პეკინში დარწმუნებულნი არიან, რომ საქმე კარგად წავა.

**ჟენევა.** ჩამოვიდა ეგვიპტეს ქედივი.

**ფიუმე.** დილის 10 საათზე სამი უცნობი თავს დაესხა ადგილობრივ ალგემეინე-კრედიტ-ბანკს. უცნობებმა მოჰკლეს კასირი, წაიღეს ფასიანი ქაღალდები, წაართვეს მოსამსახურეს 3100 კრონი და გაიქცნენ. პოლიციამ დააპატიმრა ერთ ბოროტგანმზრახველი, დანარჩენები გაიქცნენ. დაპატიმრებული აღმოჩნდა სოლომონ კასინსკი, ელექტრო-ტეხნიკოსი, ოდესის მცხოვრები. უნახეს გატაცებული ფული.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ გარჩია საქმე ექვს ბოროტგამზრახველისა, ამათ ჰქრალდებოდათ ნახევარ-კუნძულს ოხტაზე რამდენიმე ექსპროპრიაციის ჩადენა. სასამართლომ ექვსავე სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა და დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ სასჯელი შეუმსუბუქდეთ.

**ვლადივოსტოკი.** ოქროს რქის ყურეში წყალ-ქვეშ მავალ ნავ „კასაცკა“-ზე აფეთქება მოხდა. გაფუჭდა ბაქონი. არავინ დაშავებულა.

**მოსკოვი.** სოფელ ბოლოშია მატიშჩში ხელოსნებს აბრეშუმეულობის ქარხანაში აფეთქდა გოგირ-ნახშირ-მჟავბადე. მოკვდა საერობო ექიმი ლეპეშევი და უფროსი მექანიკოსი ზ-ფესი: მძიმედ დაიჭრნენ ქარხნის დირექტორი იანკელევიჩი და ორი მუშა. ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** 29 ივლისს დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 24, გარდაიცვალა 11, ავად არის 415 კაცი

**არხანგელსკი.** გარდაიცვალა 2 კაცი: კეგში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3 კაცი: შენკურსკის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2 კაცი,

**კრონშტადტები.** 27—28 ივლისს ავად არავინ გამხდარა.

**მოგილევი.** (საგუბერნიო). ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1 კაცი.

**პოლ-ცკი.** 25—28 ივლისამდე ავად გახდა 56, გარდაიცვალა 17 კაცი: პოლ-ცკის მაზრის 9 სოფლის საზოგადოებაში სენის დაწყებიდან აქნობამდის ავად გახდა 120, გარდაიცვალა 29 კაცი.

**პოლტავა.** გუბერნიაში ხოლერა გაჩნდა. გადიაჩსკის მაზრაში ავად გახდა 5 კაცი.

**იაროსლავლი.** მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2 კაცი; რიბანსკში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1 კაცი.

# მოლიკულ გზაზე

(მცირე შენიშვნა ბ-ნ რაჟდენიძეს)

**1.**

განა უბედურება არ არის, როდესაც ადამიანს თავისუფლად წერა და თავისი აზრების გამოთქმა ვერ შეუძლიან? დიახაც, დიდი უბედურებაა? განა უბედურება არ არის, სწერდე და თან ფიქრობდე, ვინ იცის რამდენი დავიდარაბა გადახდება ამ ჩემს ნაწერს, რამდენი დაამახინჯებს დემაგოგობის მოსაზრებით ან უვიცობით, რამდენ დამცირებას მივიღებ? ჰაი, ჰაი, რომ ესეც დიდი უბედურებაა!

ასეთმა აზრებმა გამიელვა თავში, როდესაც ამ შენიშვნის წერა დავიწყე. საბუთიცა მქონდა. ჩვენი იდეიური მოწინააღმდეგენი ისე ამახინჯებენ ხოლმე სხვის აზრებს და ისეთ ხარხარს ასტეხენ ხოლმე, რომ ერთის მხრით გეშინიან და მეორის მხრით გრცხვენიან. გეშინიან, რადგან ნათლადა ჰხედავ, რომ პიტალო უმეცრებას დოქტორალურის კილოთი ავრცელებენ ხალხში და საზოგადოდ მწერლობის ღირსებას დაბალ საფეხურზე აყენებენ; გრცხვენიან იმიტომ, რომ ამისთანა მწერლობა ქართველების ხვედრი გახდარა.

წაიკითხეთ, მაგალითად, წერილები ბ-ნ რაჟდენიძისა „ეროვნული სოციალიზმი“-ს სახელით. ამ წერილებში აზრთა და ცნებათა ისეთი არევ-დარევაა, ისეთი ულოღიკობაა და ამასთან ბევრგან ისეთი გველა-ძუობა გამოსჭვივის, რომ პირდაპირ გაოცებული რჩები.

ეს წერილები ჩვენი თანამშრომლის B-ს წინააღმდეგ არის მიმართული. დაწვრილებით განხილვას ამ წერილებისას არ შევუდგები, რადგან, უექველია, B. თვითონაც კარგად გაუსწორდება ბ-ნ რაჟდენიძეს. მინდა მკითხველის ყურადღება მხოლოდ საკითხის ერთს მხარეს მივაქციო. ეს საკითხია—კაპიტალიზმის მნიშვნელობა საზოგადოდ და ჩვენთვის კერძოდ. ეს საკითხი თავის თავად იმდენად საყურადღებოა, რომ იმის გამოსარკვევად დახარჯული დრო დაკარგულად არ უნდა ჩაითვალოს.

კაპიტალიზმის მნიშვნელობის შესახებ ბევრჯელ ყოფილა კამათი ჩვენ ლიტერატურაში. ბ-ნი რაჟდენიძე ამასაც იგონებს და ამბობს, ჩვენი მოპირდაპირენი ხელს უშლიდნენ, რასაკვირველია მხოლოდ სიტყვით, კაპიტალის შემოსვლასაო. ეხლა დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ათი და ოცი წლის წინად რასა სწერდნენ ქართველები კაპიტალიზმის წინაალმდეგ, მაგრამ ბოლო ხანებში არც ერთხელ არც ერთს მწერალს არ უთქვამს, კაპიტალიზმის შემოსვლას ხელი შეუშალოთო. ლაპარაკი მხოლოდ იმის შესახებ იყო ხოლმე, რომ ფაქტიურად კაპიტალი ჩვენში არ არსებობსო. და ეს მართალიც იყო. ჯერ ეხლაც კი არ შეიძლება ლაპარაკი ქართულ კაპიტალიზმზე და ოცი წლის წინად ხომ სასაცილოც კი იქნებოდა ამაზე ლაპარაკი.

კაპიტალიზმის შესახებ ბევრსა სწერდა არჩილ ჯორჯაძე. მას კამათი ჰქონდა ამაზე მოწინააღმდეგეებთან. მაგრამ ამ კამათშიაც საკითხმა გარკვეული სახე ვერ მიიღო. არჩილ ჯორჯაძე კაუცკის აზრს ემყარებოდა, მოჰყავდა ციტატები მის ნაწერებიდან და ამტკიცებდა, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის განსაზღვრული ინტერესთა ჰარმონია არსებობსო. თუმცა ფაქტიურად ეს მართალია, სხვა და სხვა კლასს შორის განსაზღვრული ჰარმონია არსებობს, მაგრამ კაუცკი მაინც არ ივიწყებს, რომ ბურჟუაზია და პროლეტარიატი ერთი მეორის მოწინააღმდეგეა, და ამიტომაც ძათი შეთანხმება და საერთო მოქმედება შეუძლებელ საქმედ მიაჩნია.

ბურჟუაზია და პროლეტარიატი ერთსა და იმავე სახელმწიფოში სცხოვრობენ, ერთსა და იმავე კანონებს ემორჩილებიან, სცხოვრობენ საზოგადო სოციალურის და კულტურულის ცხოვრებით. რანაირიც უნდა იყოს განხეთქილება მათ შორის, ისინი მაინც ერთის ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს შეადგენენ. ამისთანა პირობებში, რა თქმა უნდა, ერთ რომელიმე ნაწილის დაზიანება მეორეზედაც მოქმედებს. რომ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარება წესიერად სწარმოებდეს, აუცილებლად საჭიროა, ყველა ნაწილის განვითარებისთვის ნორმალური პირობები იქმნას დამ-

# ოთხი ცნება

3 *).

### შ ო ვ ი ნ ი ზ მ ი.

როდესაც ცნებანი განსაზღვრულნი არ არიან, როდესაც მათი შინაარსი კარგად არა აქვს წარმოდგენილი მოაზრესა, რასაკვირველია ამით მთელი სისტემა აზროვნებისა შემცდარია. წინად მე ვთქვი, რომ ცნებათა აღრევის გარდა თვით სახელ-წოდებასაც დიდი გავლენა აქვს როგორც აზროვნებაზედ, ისე პრაქტიკულ მოღვაწეობაზედაც მეთქი. და ეს ჭეშმარიტება ნათლად წარმოგვიდგება ხოლმე თვალის წინ, როგორც კი გადავავლებთ თვალს სხვა და სხვა მოძღვრების შინაარსს და სხვა და სხვა პარტიათა მოღვაწეობას.

შოვინიზმი არის, უბრალო აზრით რომა ვსთქვათ, — გადაჭარბებული განდიდება ეროვნულ გრძნობისა; სახელი შოვინიზმისა შეკავშირებულია ნაპოლეონის სალდათთან,—ნიკოლოზ შოვენთან, რომელსაც ისეთი კულტი ჰქონდა საფრანგეთის და იმის ძლევა-მოსილ მხედრობისა, ისე თავ-განწირულად იბრძოდა უცხოელ მტრის წინააღმდეგ, რომ მისი ვაჟკაცობა—ვაჟკაცობა კი აღარ იყო, არამედ სიგიჟე. თავის თავად არც ასეთი გადამეტებული გრძნობა და თავგანწირულება არის სამარცხვინო და დასაგმობი. ყველა ერის თავგანწირულ ბრძოლათა ისტორიაში შეჰხვდებით ასეთ მოვლენებსა. სხვა რად გვინდა, საქართველოს ბრძოლათა ისტორია სავსეა ასეთის გიჟურის ვაჟკაცობით შემკულ გმირებითა და, განვიმეორებთ, აქ არც პრინციპია, არც მოძღვრება,—აქ მხოლოდ გიჟური თავგაწირულებაა და თავის თავად იგი დასაგმობი არ არის. შეიძლება ამ მხრით შოვენიზმი პსიხოპათოლოგიური მოვლენა იყოს, მაგრამ საზოგადოებრივ იდეალის მხრით იგი კრიტიკის გარეშე სდგას, რადგანაც მასთან არავითარ საზოგადოებრივ იდეალს არა აქვს კავშირი.

ხოლო შემდეგ, როდესაც შოვენის ისტორია უკვე საზოგადო თქმულებად შეიქმნა, როდესაც მისი გადამეტებული თავგანწირულობის სახელწოდება,—შოვინიზმი,—მიაკუთვნეს საზოგადოდ გადაჭარბებულს ეროვნულ სიამაყეს, ეგოიზმსა და სხვებთან სოლიდარობის უარ-ყოფას,—ამის შემდეგ ხდება შოვენიზმი მართლაც არა-სიმპატიურ პრინციპად და ყველა გონიერსა, თავის ერის მოყვარესა და სხვა ერთა პატივის-მცემელთა აზრით ეს პრინციპი გადაჭარბებულ ეროვნულ ეგოიზმისა არა სიმპატიურად იქცევა.

თავის ერის ყველა სხვა ერზედ უფრო მაღლა დაყენება,—არა სიყვარულით, რაიცა ბუნებრივი მოვლენაა,—არამედ ობიექტიურის განხილვის შემდეგაც, თავის ერის არსებობის აღიარება ერთად-ერთ კანონიერად და სამართლიანად და სხვათა უფლების ფეხ-ქვეშ გათელვა, თავის ერის საზღვართა გაფართოვება, სხვათა დაპყრობა და ექსპლოატაცია, თავის სჯულის სხვებზე მაღლა დაყენება და მათი უპატივმცემლობა, თავის ენის გაბატონებისა და სხვათა ენის წართმევის სურვილი, და ყოველი სხვა მსგავსი მოვლენა ერთა ცხოვრებაში—აი რა არის საფუძველი შოვინიზმისა, რომლის სახელწოდება გაჩნდა მხოლოდ ცნობილ შოვენის სახელითა, თორემ ოვით შინაარსი ამ ცნებისა, თვით შოვინისტური მისწრაფება ყოველთვის იყო ხოლმე საზოგადოებაში და რაც უფრო ველური და უკულტურო იყო საზოგადოება, მით უფრო უხეშად და შეუგნებლად მისდევდნენ მას, აგრეთვე განვითარებულ საზოგადოებაში შეუგნებლად და სოფიზმებით შეზავებულსა. მას ყოველთვის უთვალავი მომხრე ჰყოლია და უფრო ცოტა მოწინააღმდეგე.

თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში შოვინიზმი არსებობს და ძლიერადაც არსებობს. ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, თუ ვინ როდის მონათლავს შოვინისტად ისეთ ადამიანს, რომელსაც ფიქრადაც არ მოსდის არავითარი შოვინისტობა. მივაქციოთ ყურადღება მხოლოდ მისს შინაარსს. **შოვინიზმი არის ეროვნული ეგოიზმი, უარყოფა სხვა ერთა უფლებათა, მათი დათრგუნვა და თავის ერის უფლებათა წამოყენება სხვის დასათრგუნავად. იგი უარ-ყოფაა საერთაშორისო სამართლისა, იმ სამართლისა, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა და რომლის განხორციელებაც ერთა იდეალი უნდა იყოს.**

უწესოება ინდივიდთა შორის დათრგუნვილ არს სოციალურ მოწესრიგებით, განსაკუთრებით სამართლითა. სამართალი—მოწესრიგებაა ინდივიდთა შორის ყოფა-ქცევისა და ვალდებულებათა განწყობილებისა.

მაგრამ თუ არის მოწესრიგება საზოგადოების შიგნით, ინდივიდთა შორის, არის მოწესრიგება აგრეთვე თვით ამ საზოგადოებათა შორისაც. არსებობს „საზოგადოება საზოგადოებათა.“ კონკრეტულად არსებობს საზოგადოება სახელმწიფოთა, რომელთა შორის განწყობილებანი მოწესრიგებულნი არიან საერთაშორისო სამართლითა, ანუ ნამდვილად—სახელმწიფოთა-შორისო სამართლითა. რამდენადაც უფროა განვითარებული საზოგადოება, იმდენად უფრო კარგად არის მოწესრიგებული ინდივიდთა შორის განწყობილებანი, იმდენად მაღალია საზოგადო სამართალი. რამდენადაც ნაკლებად არის განვითარებული სახელმწიფოთა საზოგადოება, იმდენად ნაკლებად არის მოწესრიგებული მათ შორის განწყობილებანი, იმდენად მდაბალია სახელმწიფოთა შორისო სამართალი. რამდენადაც მაღალია სამართალი და ზნეობა თვით საზოგადოებაში, იმდენად ინდივიდნი უფრო აფასებენ ურთი-ერთ უფლებასა და აღიარებენ მას; რამდენადაც მდაბალია სახელმწიფოთა-შორისო სამართალი, იმდენად ითრგუნება იგი ძლიერის მიერ, იმდენად ვერ უახლოვდება იგი ნამდვილ სამართალსა. რამდენადაც იდეალი შინაგან საზოგადოებრივ წყობილებისა ახლოა განხორციელებაზე, იმდენად უფრო ძნელია განხორციელება ნამდვილ საერთაშორისო სამართლისა, ვინაიდან ინდივიდი საზოგადოებაში გაცილებით უფრო მაღალი ზნეობრივი არსია და სხვისი უფლების შემგნები, ვიდრე წევრი საერთაშორისო საზოგადოებისა.

წევრი სახელმწიფოთა-შორისო საზოგადოებისა ზნეობრივად მდაბალი არსია, უფლების შეგნება მას ნაკლებად აქვს, და ასეთი მდაბალი ხარისხი ზნეობისა და უფლების შეგნებისა რომა ჰქონდეს ინდივიდს თანამედროვე საზოგადოებაში, ეს უკანასკნელი მაშინ პირველ-ყოფილ მდგომარეობაში იქნებოდა. საზოგადოებათა საზოგადოება—საზოგადოებრივ ორგანიზმთა კავშირია, მსგავსად იმისა, როგორც საზოგადოება არის კავშირი ადამიანის ინდივიდუალურ ორგანიზმთა. საზოგადოება მხცოვანია, უხსოვარ დროიდან შობილი, საზოგადოებრივ ორგანიზმთა კავშირი კი სულ ახალი არსია და, რასაკვირველია, მის განვითარებას დიდი დრო უნდა დასჭირდეს.

ამიტომაც დღეს ვამჩნევთ თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისო სამართალში მრავალ პირველ-ყოფილ ელემენტს—სამკვდრო-სასიცოცხლო ომებსა, მასაც სამართლით მოწესრიგებულს, მოტყუებასა—უსაზიზღრესს დიპლომატიას და სხვა ისეთ მოვლენებს, რაიც უბრალო საზოგადოებაში პირდაპირ უარ-ყოფაა სამართლისა და შეუძლებელი სამართლის თვალთახედვით. ასეთი მდაბალი სამართლის მხოლოდ ნაშთებია დღეს განვითარებულ საზოგადოებაში. ეს კიდევ არაფერი. ერი, როგორც კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, სრულიადაც არ არის საგანი საერთა-შორისო სამართლისა, არამედ სახელმწიფო, ძალ-მომრეობისაგან წარმოშობილი და არა სამართლისაგან,—სახელმწიფო, რომელსაც ხშირად შეპყრობილი ჰყავს ეროვნული ორგანიზმები, ნამდვილი სოციალური კონკრეტული ორგანიზმები და უარ-ჰყოფს მათ უფლებას. აქედანაც წარმოსდგება ერთა ბრძოლა სახელმწიფოთა წინააღმდეგ თავიანთ უფლებათა დასაცველად ან აღსადგენად. აქედანაც წარმოსდგება სწორედ **საერთაშორისო სამართლის** სახელით მათი მისწრაფება თავისუფლებისადმი, რომ სხვა ერებთან თანასწორის უფლებით იგინიც შეიქმნენ წევრნი საზოგადოებათა საზოგადოებისა, ამ უმაღლეს სოციალურ არსისა, შეიქმნენ, მაშასადამე, საგანნი ნამდვილ საერთაშორისო სამართლისა.

თანამედროვე არსებულ სახელმწიფოთა შორის სამართალს იდეალურად უპირდაპირებდა მომავალში განსახორციელებელი ნამდვილი საერთაშორისო სამართალი, რომლის განხორციელებაც იქნება უდიდესი ნაბიჯი, გადადგმული საზოგადოებათა საზოგადოების მიერ უფლებრივ და ზნეობრივ პროგრესისაკენ.

ამისთანავე ერთ სახელმწიფოში მყოფი უფლებას მოკლებული ერები ხშირად სთრგუნავენ ურთ-ერთის უფლებას, ვინაიდან თითოეული სცდილობს თავის უფლების მოხვეჭას სხვისის უარ-ყოფითა, და ესეც ხალხთა უფლების შეუგნებლობას ამტკიცებს; პირიქით, მათი მორიგება სამართლის საფუძველზედ დიდი პროგრესია მათ უფლებრივ და ზნეობრივ განვითარებისაკენ.

ამ განვითარებისა და პროგრესის ტენდენცია ნათლადა სჩანს უკანასკნელ ხანის ისტორიაში, ნათლადა სჩანს დღესაც: არა ერთხელ გვითქვამს,—არ არის ეხლა ჩაგრული ერი, რომ სხვა ერებთან სწორ-უფლებას არა თხოულობდეს და არა სცდილობდეს მოითხოვოს. მართალია, ხშირად ერი თავის უფლებათა მოხვეჭის დროს სხვის უფლებას უარჰყოფს, მაგრამ საერთოდ ეს ტენდენცია მაინც არსებობს.

აი, აქ არის შოვინიზმისა და ნამდვილ ნაციონალიზმის ღირებულება.

ნაციონალიზმი, როგორც მისწრაფება საკუთარ სოციალურ ორგანიზმის დაცვისა, მის არსებობის უფ-

*) იხ. „დროება“, N 168.

…დრებული. თუ ყველა ნაწილის განვითარება ნორმალურადა სწარმოებს, მაშინ ცხადია, მოწინააღმდეგე კლასთა ფიზიონომია უფრო ცხადად გამოირკვევა, უფრო მკაფიოდ შემოიფარგლება სამოქმედო ასპარეზი თვითეულ კლასისა და საზოგადოებრივ ჯგუფებისა და საზოგადოებრივ ძალთა განვითარებასაც წინ ნაკლები დაბრკოლება აღმოუჩნდება.

მხოლოდ ამ მოსაზრებით ამბობდა კაუცკი, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის განსაზღვრული ჰარმონია არსებობსო. აქედან ყოვლად შეუძლებელია ისეთი დასკვნა გამოვიყვანოთ, როგორიც შემდეგ ბურჟუაზიულმა მწერლებმა გამოიყვანეს, სახელდობრ, შესაძლებელია და საჭიროც ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ერთად მოქმედება საერთო მიზნებისთვისაო. ეს შემცდარი აზრია. მაგრამ არც იმის უარ-ჰყოფა შეიძლება, რომ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, როგორც ერთ სოციალურ ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს შორის, არსებობს განსაზღვრული ჰარმონია ინტერესებისა. ნუ გგონიათ, ასეთი აზრები კაუცკის ერთხელ წამოსცდომოდეს; იგი ნაყოფია ღრმა დაკვირვებისა და ცხოვრების ანალიზისა. ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ კაუცკიმ შემდეგში უფრო ნათლად და გარკვევით გამოსთქვა თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ.

ამ საგნის შესახებ კამათი მეტად საინტერესო იყო, მაგრამ იგი მაინც თვით კაპიტალიზმის მნიშვნელობის შესახებ სრულიად არაფერს არკვევდა. მაშინ კამათი მხოლოდ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის ურთიერთობის შესახებ სწარმოებდა. მართალია, გაკვრით ამაზედაც სწერდნენ, მაგრამ მაინც იმდენ ყურადღებას არ აქცევდნენ, რამდენსაც თვით საკითხის მნიშვნელობა მოითხოვდა.

უკანასკნელ წლებში უფრო ხშირად ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი ამის შესახებ. მაგრამ აქაც გაკვრით არკვევენ მას. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ეს საკითხი გამოყოფილი იქმნას სხვა სადაო საკითხებიდან. მაშინ თვით საკითხიც გარკვეულად დაისმის და კამათსაც მეტი ნაყოფიერება დაეტყობა.

სანამ არსებითად დავიწყებდეთ მსჯელობას, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ლაპარაკი გვექნება მხოლოდ კაპიტალიზმის მნიშვნელობაზე ეროვნულ ცხოვრების განვითარებისათვის. რომ საზოგადოდ კაპიტალიზმის განვითარება დიდმნიშვნელოვან მოვლენადაა აღიარებული, ამის წინააღმდეგი მარქსისტი თავის დღეში ვერ გაბედება. ამიტომ, ჩვენ მსჯელობას ვიქონიებთ მხოლოდ კაპიტალიზმის მნიშვნელობაზე ეროვნულ ცხოვრების განვითარებაში. სადაო საკითხი მხოლოდ ეს არის.

B. ერთ თავის წერილში ამბობდა: „ჩვენთვის მხოლოდ ისაა ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ არის არც ქართული სავაჭრო კაპიტალი და არც საწარმოო კაპიტალი. ჩარჩი კაპიტალიც უმეტეს ნაწილად სხვის ხელშიაო“.

ბ-ნ რაჟდენიძეს ეს ადგილი მოჰყავს წერილიდან და მერე თითონ ამნაირ დასკვნას უკეთებს: „ბ. B. აქ სულ სპობს ქართულ კაპიტალიზმს, რაც, რასაკვირველია, გადაჭარბებულია; აკი თითონაც არ უარყოფს, რომ ზოგიერთ დარგებში ქართული კაპიტალიც არსებობს, მარა ეს, რასაკვირველია, მას ვერ აკმაყოფილებს. მას უნდა ძლიერი ქართული კაპიტალი, ანუ უკეთ, ძლიერი ქართული ბურჟუაზია (?), ჩასუქებული ქართული ვაჭარ-მრეწველები“. ცოტა ქვევით ბ-ნი რაჟდენიძე სწერს: „ჩვენ ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ ბურჟუაზია ეროვნულ ძალად ვერ გამოდგება, ერთი იმიტომ, რომ იგი ჩვენში სუსტია, მეორე იმიტომ, რომ რაც არის, იგიც ეროვნულ საქმის ნაცვლად არა ეროვნულს აწარმოებს. აბა შეხედეთ ქართველ ვაჭრებს, თუ იმათ სიტყვა მოგიხერხონ ქართულად? აბა თუ მათ ან ქართული ლიტერატურა აინტერესებდეთ, ან ქართული ისტორია, ან სხვა რამგარდა ხალხის ყვლეფისა და გაძარცვისა? მათი ენა ჩიქორთული რუსულია, მათი ეროვნება აღლში და სასწორში მოტყუებაა, ეროვნული სიყვარული—სხვისი ნაშრომით ჯიბის ამოვსებაა“,—პატეთიურად აბოლოვებს სიტყვას ბ-ნი რაჟდენიძე.

გავარჩიოთ თვითოეული დებულება ამოწერილ ციტატისა და მაშინ დავინახავთ, რა დომხალს აწვდის ბ-ნი რაჟდენიძე თავის მკითხველებს. „ქართველი ბურჟუაზია ეროვნულ საქმეში არ გამოდგება იმიტომ, რომ იგი პატარააო“, ამბობს რაჟდენიძე. დიდი რომ იყოს? მაშინ, თუ ლოღიკურად ვიმსჯელეთ, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი გამოდგება ეროვნულ საქმისთვის. თუ ეს ასეა, რაღად უკიჟინებთ B-ს თქვენ ბურჟუაზიის გაძლიერებასა სცდილობთო? თუ პატარა ბურჟუაზია ეროვნულ საქმისათვის არ გამოდგება მარტო იმიტომ, რომ იგი პატარაა, მაშინ, უეჭველია, ის, ვისაც ეროვნული აღორძინება საჭიროდ მიაჩნია ბურჟუაზიის გაძლიერებას მოისურვებს—ეს ერთი მეორე ბ. რაჟდენიძე ამბობს, ქართველი ბურჟუაზია ეროვნულ საქმეში არ გამოდგება, რადგან მას ეს ეროვნული საქმეები არ აინტერესებსო. რომ აინტერესებდეს? მაშინ, უეჭველია, გამოდგება. მაშასადამე, არსებითად შეუძლებელი არა ყოფილა, რომ ბურჟუაზია ეროვნულ საქმეებს ემსახუროს. თუ ქართული ბურჟუაზია ეროვნულ საქმეს არ ემსახურება, მხოლოდ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, პატარაა, და მეორეც იმიტომ, რომ არა სურს. მაგრამ შეიძლება ბურჟუაზია გაიზარდოს და სურვილიც დაებადოს. მაშინ ხომ გამოდგება იგი ეროვნულ საქმეში? ბ-ნი რაჟდენიძე თუ ულოღიკობას არ ჩაიდენს, უნდა სთქვას, გამოდგებაო. თუ ეს ასეა, აქვს თუ არა ზნეობრივი უფლება ბ-ნ რაჟდენიძეს უკიჟინოს იმას, ვინც ეროვნულ ცხოვრების ასაყვავებლად იმის გაძლიერებასა და განვითარებას მოისურვებს? რასაკვირველია, არა.

წერილის სხვა ადგილას იგი აღიარებს ეროვნულ საქმის მატარებელი მხოლოდ პროლეტარიატია, რადგან იგი საფუძველია ერისა, მისი უდიდესი ნაწილიო*), ეხლა კი ამბობს, ბურჟუაზიაც შეიძლება გამოდგეს ეროვნულ საქმის მაწარმოებლად. თუ გაიზარდაო.

დომხალი არ არის, მკითხველო, მაშ რა არის?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა საკითხავი ის არის, ვინ ელაპარაკებოდა ბ-ნ რაჟდენიძეს ბურჟუაზიის მნიშვნელობის შესახებ? B. მხოლოდ კაპიტალიზმზე და მის მნიშვნელობაზე ელაპარაკებოდა. ბ-ნმა რაჟდენიძემ-კი დემაგოგიურის მოსაზრებით B-ს ციტატაში ჩააკერა თავისი წინადადება: „ანუ, უკეთ რომა ვსთქვათ, ბურჟუაზიაო“, და მერე მოშლილი წისქვილივით რახუნი დაიწყო, B-ს „გასუქებული“ ვაჭრები ელანდებაო. თვით ბ-ნი რაჟდენიძე სწერდა: „აზრთა არევ-დარევიდან მან ერთმანეთში აურია ორი ცნება: კაპიტალიზმი და ბურჟუაზია. მან მათ შორის თანასწორობის ხაზი გაავლო, კაპიტალიზმი ეს იგივე ბურჟუაზიააო. ნამდვილად კი, კაპიტალიზმი წარმოადგენს მთელ ეკონომიურ ურთიერთობას, ბურჟუაზია კი მის ერთ ერთ ელემენტს. კაპიტალიზმს, მართალია, თან ახლავს ბურჟუაზია, უცხო კაპიტალიზმს უცხო ბურჟუაზია, როგორც მისი მესაკუთრე, მარა მათი მნიშვნელობა ცხოვრებაში სხვა და სხვაა“.

თუ კი აქ იცოდით, რომ ბურჟუაზია და კაპიტალიზმი ერთი და იგივე არ არის და ამ ორ ცნების ერთმანეთში არევა არ შეიძლება, როდესაც B-ს ციტატა მოგყავდათ, მაშინ რატომ აღარ გახსოვდათ? რაზე ჩაჩხირეთ შუაში „ანუ, უკეთ რომა ვსთქვათ, ბურჟუაზიაო“?

თქვენი კი რა მოგახსენოთ, მკითხველო, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ჩვეულებრივი დემაგოგიური ხრიკია ჩვენ მოწინააღმდეგეთა. ბ-ნმა რაჟდენიძემ ძალიან კარგად იცის, რომ ზოგიერთ უვიც მკითხველებზე ჯერ კიდევ შთაბეჭდილება ახდენს ცარიელ სიტყვების რახა-რუხი, იცის, რომ მწერლის სახელის გასატეხად, ბრალიანად თუ უბრალოდ, ბურჟუაზიის ქომაგად გამოყვანა საუკეთესო საშუალებაა. ისრა მწერლებიარიან, იმათ სიზმარშიაც კი ღიპ-გასიებული ვაჭრები ელანდებიან, აბეზღებს მოწინააღმდეგეებს ბ-ნი რაჟდენიძე თავის მკითხველებთან. ვიცით, არიან ისეთი გულუბრყვილო მკითხველები, რომელნიც სიტყვების ამ რახა-რუხს პირდაპირ ჭეშმარიტებად მიიღებენ. ბ-ნ რაჟდენიძემაც კარგად იცის ეს, და კიდეც ამისი იმედი აქვს.

B-ს ლაპარაკი მხოლოდ ქართულ კაპიტალიზმზე ჰქონდა და, თუ ბ-ნ რაჟდენიძეს მართლა სიმართლის გამორკვევა უნდოდა, თითონაც კაპიტალიზმზე უნდა ელაპარაკნა. ბ-ნმა რაჟდენიძემ კი დომხალივით აურია ყველაფერი, სხვა და სხვა ცნება ერთმანეთში გადაურია, სადაო საკითხი სრულიად დააბნელა, წყალი აამღვრია და მერე ამ ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა განიზრახა. უკადრისი საქციელიაო!

არ. ჯ—შვილი.

(შემდეგი იქნება)

*) ალლაჰმა უწყის, საიდან გამოიყვანა ბ-ნმა რაჟდენიძემ, რომ პროლეტარიატი ერის უდიდესი ნაწილია.

---

…ლების აღდგენისა და დაცვისა საერთაშორისო იდეალურ სამართლის სახელით,—უმაღლესი ზნეობრივი და უფლებრივი მოძღვრებაა, მოძრაობაა საზოგადოებათა საზოგადოების განვითარებისაკენ. იგი განმტკიცებაა ინტერნაციონალიზმისა. შოვინიზმი, როგორც ეროვნული ეგოიზმი, უარყოფაა სხვის უფლებათა, განმტკიცებაა საკუთარ სახელმწიფო ან ეროვნულ უფლებათა, ანუ, უკეთ ვთქვათ, უსამართლობისა, სხვის დაკლებით, სხვის უფლებათა დათრგუნვით, სხვის არსებობის მოსპობით,—უარყოფაა იდეალურ საერთაშორისო სამართლისა, უფლებრივი და ზნეობრივი რეგრესია საზოგადოებათა საზოგადოებისა. მას ტლანქი ძალა აქვს ხელში, და არა სამართალი, მას თავხედობა ახასიათებს და არა ზნეობა. კაცი, რომელიც სხვის უფლებებს არა სცემს პატივს, შეუგნებელია უფლებრივად და მდაბალი არსი ზნეობრივად. მეტადრე საზოგადოება, რომელიც სხვის საზოგადოებას არ აღიარებს პიროვნებად, შეუგნებელია უფლებრივად და იქ არის უმთავრესად ჩაგრულ ერთა მოძრაობა. ამიტომაც ვამჩნევთ ჩვენ შოვინიზმს დიდ სახელმწიფოებში, სადაც ერთი დიდი ერი სხვა ერებზეა გაბატონებული. ამიტომაც ამ ერთა წარმომადგენელთ სოციალისტთა და ინტერნაციონალისტთა შორისაც ვხედავთ სოფიზმებით შემოსილ შოვინისტურ პარტიებს, მაგალითად გერმანიისა და, განსაკუთრებით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, ამიტომაც პატარა ჩაგრულ ერთა შორისაც არის ეს შოვინიზმი, როცა მეზობელ ერის უფლების აღდგენა არაფრად ეჭაშნიკება ხოლმე მაგალითად დაკარგულ ტერიტორიის შექმნის მოსურნე ერსა, რომელიც სხვას შეჰკედლებია ნაწილად და სურს ან თვით დაიპყროს მისი ტერიტორია და ამ საფუძველზედ თვით, თავისი ეროვნული თავისუფლების საკითხი დააყენოს, ან სხვისთვის უარ-ჰყოს უსამართლოდ ეს უფლება და შეუშალოს ხელი მის სამართლიან მისწრაფებასა.

**შოვინიზმი, კიდევ უფრო მოკლედ რომ განვსაზღვროთ, სხვა ერთა უფლების უარყოფაა.** სხვანაირი განსაზღვრა, არა გვგონია, რომ მის შინაარსს შეეფერებოდეს.

და ამ თვალთა ხედვით აბა განიხილეთ დიდ სახელმწიფოთა ცხოვრება, დიდ ერთა პროგრესსიული პარტიებიც კი, როგორი შოვინიზმი ნახოთ იქა, განსაკუთრებით დიდ ერებში და დიდ სახელმწიფოებში! პატარა სახელმწიფოებს კი ყვირილის მეტი ხშირად არა შეუძლიანთ რა შოვინისტური. ხშირად აგრეთვე პატარა ერებს არც კი შეუძლიანთ შოვინიზმი, ისეთ მდგომარეობაშიარიან ჩაყენებული, თუმცა გრძნობა შოვინიზმისა, რასაკვირველია იქაც არის. მხოლოდ ძლიერი, სხვისი უფლების დამთრგუნველი, ერი ხშირად მათვე ეუბნება,—შენა ხარ სხვის უფლების უარმყოფელიო. განა რუსი მუდამ არ ეუბნება ხოლმე ქართველს და პოლონელს,—შოვინისტები ხართო! ნეტავ ერთი ჩამოიხადონ სოფიზმებისაგან მოქარგული ნიღაბი და სთქვან, ვინ არის ჩვენგანი შოვინისტი, ან ვის შეუძლია შოვინისტობა, ძლიერსა თუ სუსტს. ეს კიდევ არაფერი,—ხან და ხან გალაქიავებული სუსტი, უუფლებობა თავისავე მოძმეს შოვინისტ ეძახის,—ძლიერისაგან დამონებული და მისის სოფიზმებით აზრარეული.

მაგალითებისთვის შორს რათ ვიაროთ. ეს წერილები არც მაგალითებისთვის არის დაწერილი. იგი უბრალო განსაზღვრაა ცნებათა. რომელი შოვინისტია ქართველი, რომელსაც თავის ეროვნულ ორგანიზმის აღდგენა უნდა და სხვა ერებთან სწორ-უფლებიანობა? რითი უარ-ჰყოფს იგი საერთა-შორისო სამართალსა, რომელიც იდეალია საზოგადოებათა საზოგადოების უფლებრივ სისრულისა? მეორეს მხრით, როგორ შოვინისტური არ არიან ყველა რუსეთის პარტიები, სოციალ-დემოკრატებიდან დაწყებული პურიშკევიჩამდე, რომელნიც უარჰყოფენ საქართველოს ავტონომიას? იგინი იცავენ ამით ერის უფლებრივად დაჩაგვრას, მხარს უჭერენ იმ უფლების დარღვევას, რომელიც განმტკიცებული იყო ჩვენსა და რუსეთს შორის, იგინი მხარს უჭერენ საერთაშორისო უფლების დამრღვეველთ. ეს ფაქტია და ამის უარ-ყოფა არ შეიძლება არავითარ არგუმენტებით საერთაშორისო არსებულ და მეტადრე იდეალურ სამართლის თვალთსაზრისით. ან როგორ შეიძლება სომეხი ოსი, ბერძენი ან სხვა, რომელიც საქართველოს მიწა-წყალზე სცხოვრობს, შოვინისტიარ იყოს მაშინ როდესაც უარსა ჰყოფს საქართველოს ავტონომიას, ან სახელმწიფოებს. იგი სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, იგი მომავალ რესპუბლიკაში მოქალაქეა ამ რესპუბლიკისა, სწორ-უფლებიანი და თავისუფალი. არ უნდა ეს მოქალაქეობა —თავისუფალია. და თუ მაინც წინააღმდეგია,—ცხადია მას ან თავისთვის უნდა ეს ტერრიტორია, რომ თავისი ეროვნული უფლება შექმნას, ან მისთვის არ არის ხელ საყრელი ჩვენის ეროვნულ უფლების შექმნა. ერთს შემთხვევაში იგი ეროვნული ეგოისტია—სხვის არსებობის დათრგუნვით თავის ეროვნულ ორგანიზმის შექმნა სწადია, მეორე შემთხვევაში სხვის უფლების უარ-ყოფით მასა სურს თავისი უფლებრივი ეგოიზმი დაიკმაყოფილოს. ორივე შემთხვევაში იგი შოვინისტია, უარმყოფელი საერთაშორისო იდეალურ სამართლისა.

ჩვენ კი, მაგალითად, ჩვენსას ვთხოულობთ; არც სხვის უფლებათა დათრგუნვა გვინდა, არც სხვის მოსპობით განისაზღვრება ჩვენი არსებობა. ჩვენ საერთაშორისო სამართლის სახელით ვთხოულობთ ჩვენ უფლებას. ის ქართველი კი, რომელსაც თავისთვის ავტონომია უნდა, ხოლო ამ ავტონომიის ფარგალში მცხოვრებ ერთათვის ყოველ უფლებას უარსა ჰყოფს, ან რომელსაც ადერბეიჯანის დაპყრობა, შემოერთება და გაქართველება უნდა, რასაკვირველია, შოვინისტია. სულ სხვა საკითხია, შესაძლებელია თუ არა ან საერთაშორისო სამართლის სრული განხორციელება, ან ერთა უფლების დაცვა და აღდგენა. აგრეთვე სულ სხვაა საგანი ერთა-შორის ბრძოლის აუცილებლობისა და ერთის მიერ მეორის ჩაყლაპვისა,—აქ ეს არ გვაინტერესებს, გვაინტერესებს მხოლოდ პრინციპები, რომელთა სახელსაც ასე დაუფიქრებლად ისვრიან ხოლმე, და აგრეთვე პრინციპი სამართლისა, და არა ძალისა და შესაძლებლობისა.

დიახ, ნაციონალიზმი—ერის სიცოცხლისა და უფლების დაცვაა, და ჩვენც ნაციონალისტები ვართ. ინტერნაციონალიზმი—თავისუფალ და სწორ-უფლებიან ერთა კავშირია, საერთაშორისო სამართალი აღიარებაა ერთა უფლებისა და ჩვენც ინტერნაციონალისტები ვართ; შოვინიზმი კი უარ-ყოფაა საერთაშორისო სამართლისა, ეროვნული ბოროტი ეგოიზმია და ამიტომაც გვეზიზღება ყველა შოვინისტი, რაც უნდა სოფიზმებით შესთითხნონ მათ თავიანთ კაცი-ჭამია პრინციპები,—დაწყებული ლენინიდან და პურიშკევიჩიდან ხაჩატუროვამდე და მის მსგავსებამდე.

ალბრომელი.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**ხმოსნის რუდაკოვის დაპატიმრება.** როგორც ვწერდით, ტფილისში დააპატიმრეს ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი რუდაკოვი. ბაქოს გაზეთებს ამის გამო ტფილისიდან ატყობინებენ: როგორც ხმა დადის, ქალაქის საბჭოს ხმოსნის რუდაკოვის დაპატიმრებას კავშირი აქვს ფეფელოვის გატაცების საქმესთან. გაჩხრეკის დროს რუდაკოვის ბინაზე ნახეს რევოლვერები, პატრონები და დანები. ფიქრობენ, რომ რუდაკოვი შუამავალი იყო გამტაცებლებსა და მოკლულ ფეფელოვის შორის.

**წარმოდგენების და კონცერტების აღკრძალვა.** სინოდს აზრადა აქვს თურმე აღძრას საკითხი, რომ უქმეებისა და კვირეების წინა დღეებში აკრძალოს ყოველგვარი წარმოდგენა, კონცერტი და, საზოგადოდ, გასართობი. წარმოდგენებისა და კონცერტების აღკრძალვას სინოდი მთელ დიდ მარხვაშიაც ფიქრობს. ეს საკითხი პირველად კიევის სამისიონერო კრებამ აღძრა და ეხლა, როგორც ატყობა, სინოდს მისი განხორციელებაც განუზრახავს. თუ ეს განხორციელდება, არტისტები დიდ გაჭირვებაში ჩავარდებიან—ნახევარ წელიწადზე მეტი უსაქმოდ უნდა იარონ.

**გადამდები სენი სატუსაღოებში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწერილობა დაუგზავნია ქალაქისა და ერობის სამმართველოებისათვის. მოწერილობა შეეხება საპატიმროებში სახადის გავრცელებას. რადგან საპატიმროებს არ შეუძლიანთ გადამდებ ავადმყოფთათვის ცალკე საავადმყოფოს მოწყობა, ამიტომ სამინისტრო წინადადებას აძლევს ქალაქებს და ერობებს, საპატიმროების გამგე კომიტეტებს დაეხმარნენ.

**ლექციები ერობის შესახებ.** ტფ. ქალაქის თავის მოადგილე ალ. ი. ხატისოვი ამ ჟამად ამზადებს მასალას ერობის შესახებ. ხატისოვს აზრადა აქვს რამდენიმე ლექცია წაიკითხოს რუსულად. სასურველია, ქართველმა ლექტორებმაც წაიკითხონ ლექცია ერობის შესახებ.

**სექციის სხდომა.** დღეს, 31 ივლისს, საღამოსთვის ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ერობის შესახებ საგუბერნიო სათათბიროს მეორე სექციის სხდომა.

**ერობის შესახებ.** 29 ივლისს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა სხდომა ერობის შესახებ მესამე სექციისა. სხდომას დაესწრო 13—14 წევრი. სექციამ პირველად გაიცნო 1908 წლის კომისიის მოხსენება. სამინისტროსაგან ამ კომისიას დავალებული ჰქონია, შეემუშავებინა მოხსენება რუსეთის ერობათა რეფორმის შესახებ. კომისიის მოხსენება განუხილავს მინისტრთა კომიტეტს და ბევრი ცვლილება შეუტანია პროექტში. შესაძლებელია მთელი ეს მასალა შეტანილ იქმნას სახელმწიფო სათათბიროში. სექციამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მასალა ჩვენ სახელმძღვანელოდ არ გამოდგება და სასურველია დამოუკიდებლად გამოვთქვათ ჩვენი აზრი ერობის საარჩევნო წესის შესახებაო. კამათის დროს, როგორც წინა კრებაზე, ორატორებმა საჭიროდ სცნეს საარჩევნო ცენზის რუსეთზე უფრო შემცირება, რადგან ტფილისის გუბერნიაში სულ წვრილი მესაკუთრეობაა. სექციის აზრით, ისეთი საარჩევნო წესი უნდა იყოს, როგორიც 3 ივნისამდე სახელმწიფო სათათბიროსთვის არსებობდა. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ სოფლის საზოგადოებანი, მემამულენი და ქალაქის მცხოვრებნი. სოფლებში 10 მცხოვრები აირჩიეს ორს წარმომადგენელს, ესენი თავის მხრივ აირჩევენ რწმუნებულებს, რომელნიც მემამულეთა წარმომადგენლებს შეუერთდებიან და სარაიონო ერობისთვის აირჩევენ ხმოსნებს. ცენზი სარაიონო ერობისათვის იქნება. რაიონი მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით აირჩევს ხმოსნებს საგუბერნიო ერობისათვის. სექციის სხდომამ გასტანა ღამის 12 საათამდე.

**ამერიკული ვაზი.** საქარის სანერგეს გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც მომავალ წლისათვის სურს შეიძინოს ამერიკულ ვაზის დამყნილი თუ დაუმყნელი ნერგები, უნდა ადრევე მიმართოს სანერგეს. ფოსტით მიმართვა შეიძლება ამა წლის 1 დეკემბრამდე, ხოლო პირადად 3 დეკემბრამდე.

**ცეცხლი.** ბორჯომის ხეობაში სუმბათაშვილის ტყეს ცეცხლი გასჩენია. ცეცხლი რომ არ გაძლიერებულიყო და სახელმწიფო ტყესაც არ მისდებოდა სოფლელნი მუშაობას მოაშორეს და ცეცხლის საქრობად გაიყვანეს. როგორც გვატყობინებენ, ცეცხლი ჩაუქრიათ.

**კატორღა.** კავკასიის სამხედრო სასამართლომ თხუთმეტ-თხუთმეტი წლით კატორღა გადაუწყვიტა სიღნაღის … მცხოვრებს … და ფინიანი … გვეტაშვილს და ილია ჯალიაშვილს. ამათ ჰბრალდებოდათ ბოდბისხევის მცხოვრების იოველ ბოლგაშვილის მოკვლის განზრახვა.

**დეპუტატი გაიდაროვი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს გაიდაროვს ამ ზაფხულს მოუვლია ზაქათალისა და სამურის ოლქები და მოუკრეფია ცნობები გლეხთა ყოფა-მდგომარეობის შესახებ. დეპუტატს უნდა, ეს მასალა სათათბიროში გამოიყენოს.

**ლექცია სურამში.** სამშაბათს, 4 აგვისტოს დ. სურამში მოსკოვის ეთნოგრაფიულ საზოგადოების დამხმარე წევრი მოსკოვისავე უნივერსიტეტის სტუდენტი გ. თ. ჟორდანია წაიკითხავს საჯარო ლექციას ამ სათაურით: „ხალხური ადათ-ჩვეულებანი და მეცნიერული ფასი“.

**ქალაქის თავზე თავ-დასხმა.** როგორც შუშიდან გვატყობინებენ 29 ივლისს საღამოთი, ბულვარში სეირნობის დროს, ვიღაცები თავს დასცემიან ადგილობრივ ქალაქის თავს ქალანთაროვს. ქალანთაროვი ოჯახობით ყოფილა. დაუჭრიათ ქალანთაროვი და მისი ცოლი, ხოლო ქალანთაროვის გერი იქვე მოუკლავთ. მკვლელები მიმალულან. ეჭვით რამდენიმე კაცი შეუპყრიათ ამ ამბავს ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია.

**მილის წყლის სისუფთავე.** ავჭალაში წყლის მილის არხში ავჭალელნი ხშირად ბანაობენ ხოლმე. ინჟ. კამიშერცევს ტფ. მაზრის უფროსისთვის უთხოვნია, ზომები მიიღოს, რომ არხში აღარავინ იბანოს ხოლმე.

**გენ. ნეიგებაუერის პეტერბურგს წასვლა.** ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი გენ. ნეიგებაუერი 28 ივლისს პეტერბურგს წავიდა. უფროსი უნდა დაესწრას ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხარჯ-აღრიცხვის (1910 წლისათვის) განხილვას. გენ ნეიგებაუერთან ერთად წავიდნენ მთავარი ბუხჰალტერი პუშკარევი და რემონტის ნაწილის უფროსი ინჟ. კენგე.

**მთავარი ინტენდანტი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, რუსეთის ჯარის მთავარ ინტენდანტად ნიშნავენ კავკასიის ჯარის მეორე კორპუსის უფროსს გენერალ შუვაევს. წინანდელი ინტენდანტი სენატორ გარინის რევიზიის გამო გადადგა.

# მოწერილი ამბავი

**ხონი.** დუარსაბ ტაბიძის მოკვლის გამო ს. ივანდიდში, როგორც გწერდით, ბოქაულმა მოახდინა სასოფლო ურიდობა. ბოქაულმა განუცხადა ხალხს მოროლ მომქმედნი გამონახეთო. ხალხში გაისმა ჩურჩული-რა ვიცით ჩვენაო. ზოგი მის ცოლსაც-კი სწამებდა ამ მკვლელობას როგორც გავიგე, ცოლქმარ შორის წინა უთანხმოება ყოფილა. ამ უთანხმოების გამო ისინი გაშორებიან ერთმანეთს, ეხლა კი შერიგებულან და არ გაუვლია ერთ კვირას ამ შერიგების შემდეგ რომ ეს უბედური დატრიალებულა დუარსაბ ტაბიძის თავზე. ვინ იცის, რამდენად მართალია ეს ამბავი! საქმის გამოძიება სწარმოებს.

26 ივლისს, მასწავლებლის წ. გვარამიძის და ა. ყალაბეგიშვილის და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით, გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს ლ. ანდრეევის პიესა; „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „ორი მშიერი“. წარმოდგენამ ურიგოდ არ ჩაიარა. კარგი იყო ონოფრეს როლში ა. ყალაბეგიშვილი და კოლა გლუხოვცევის როლში კი ნ. გვარამძე. კარგი იყო ეგრეთვე სტუდენტის მიშას როლში დ. მეჟუაძე. ყველამ როლი კარგად იცოდა. „ორი მშიერის“ წარმოდგენამ ბევრი აცინა საზოგადოება.

26 ივლისს ღამე გატეხეს გადიკო

ჭიაწურაძის დუქანი, შესულან შიგ და ნდომიათ საქონლის გატანა. გამოუწვევიათ ერთი ურემი საქონელი, რომ ამ დროს დუქნის წინ შემთხვევით ჩაუვლია ერთ მოწაფეს. საქმე პოლიციელებისათვის უცნობებია. პოლიციელები მისულან და ქურდები ყველანი შეუპყრიათ. ქურდები აღმოჩენილან სახერხავ ქარხნის მუშები. ქურდები დააპატიმრეს.

ადგილობრივი მოსწავლე ახალგაზდობა ვერ იქცევა კარგად. განუწყვეტლივ თამაშობენ ბილიარდს, ნარდს და ბანქოს. გამოდიან ბილიარდიდან და სამიკიტნოებისაკენ მიეშურებიან. სვამენ ღვინოს, თვრებიან და ათასგვარ საზიზღრობას სჩადიან. ერთი სტუდენტი დათვრა და ჩაჯდა ეტლში არღნით, როდესაც გული მოითხა და მეეტლემ ფული მოსთხოვა, იგი მუშტებით გაუმასპინძლდა. რასაკვირველია ყველანი არ მისდევენ ასეთ ცხოვრებას, მაგრამ უმრავლესობა მაინც ფუქსავატად ატარებს დროს. გააჭირეს საქმე სადამოებმა. ყოველ შაბათობით სამ ოთხ ადგილას იმართება. სადამო, რომელსაც არავისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

კვლავ გვადგებია აქეთ. მოსარწყავ წყლის თაობაზე ხშირია ჩხუბი, ამ დღეებში ერთი კაცი სასიკვდილოდაც დასჭრეს ამის თაობაზე. კარგი იქნება, ზომებს მიიღებდნენ უთანხმოების მოსასპობათ, თორემ პატარა ჩხუბი დიდ ჩხუბად გადაიქცევა.

გ. ფახკუნძი.

—

**მეჯვრისხევი.** (ქრაძი). ამ ზაფხულის სიცხეებმა, მცენარის გარდა, ყველგან ბევრი ხალხი და პირუტყვი იმსხვერპლა. მეჯვრისხევში კი სიცხეებს არც კაცი მოუკლავს, არც პირუტყვი; სამაგიეროდ, აქ დიდადაა გავრცელებული ტვინის დუღილი. ამ დღეებში ერთია უბადრუკი მეწისქვილე კარდაკარ დადიოდა და ყველას ეუბნებოდა: „მუადლისას წისქვილში მეძინა უცებ ერთმა თეთრ-წვერა კაცმა გამაღვიძა, ზეზე ამაყენა, პირი დაიბანეო, და შემდეგ მითხრა: წისქვილი და ეკკლესია ორივე ერთი, ამიტომ მოგმართე შენ და არა სხვასაო. დაიარე სოფლები და ყველას უთხარი: ეს გვალვები იმიტომ არის, რომ ძველებურად აღარა სცხოვრობთ, ღმერთი აღარა გწამთ, კვირა-უქმეებში მუშაობთ, ეკკლესიებში აღარ დადიხართ, ხატები და მკითხავები აღარა გრწამთო, და სხვა. თუ არ გასწორდებით, სამს სოფელს გადავგწვამო იმავე დამეს ახლა სხვასაც ენახა ვენახში იმ გვარივე მოხუცი კაცი. შეიქნა მითქმა-მოთქმა. ბოქაულმა ორივენი დაიბარა, გამოჰკითხა ყველაფერი, ჭკუაზე მოაპროწიალდითო, სიცილით უთხრა და ორივენი გამორეკა.

მეორე დღეს ტვინის დუღილი ქალებსაც მოედო. უნდა გენახად, რა ამბავი იყო მდინარე მეჯუდის უშველებელ რიყეზე. სადაც მინახავს დახატული შემდეგი სურათი: კუნძულზე წყალი გადმოვარდნილა და ზედ მცხოვრებნი ველურები ერთს ადგილას შეჯგუფებულან. აქეთ ერთი აურ-ზაური, ყრიამული, წივილ-კივილი. ზოგი თმას იგლეჯს, ზოგი ბავშვს თავზე ისვამს, ზოგი მაღლა იშვერს ხელს, თითქოს ციდან მოელის ხსნასაო. როდესაც იმ ქალებს შევხედე, უნებურად მომაგონდა ეს სურათი. წარმოიდგინეთ ასზე მეტი დიდი და პატარა ქალი. რიყეზე გუთანი გაეტანათ. ზოგი გიმ შებმულიყო, ზოგი გუთნისდედობდა, ზოგი მეხრესავით იფნის სახრეებს იქნევდა, სვედიან ოროველას დასძახოდა. უფრო ცელქები ერთმანეთ სწუწავდნენ, წყალში ჭყუმპალაობდნენ, ოხუნჯობდნენ, ხითხითებდნენ. უფრო დინჯები ტიტველ ქურუმებივით გამოიყურებოდნენ, გუგუნებოდნენ, მათებრ, მართლა რაიმე დიდმნიშვნელოვანს მღვდელმოქმედებას ასრულებენო. ყოველივე ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ ღმერთს მათთვის წვიმა გამოეგზავნა.

ტვინის დუღილი ფრინველებსაც მოედო. არავინ მოსწრებია ამოდენა ფრინველის ერთად თავშეყრას. თითო ხეზე ორას სამასი ჭილყვავი ზის. უდგიათ ერთი განგაში. ზუიში და ხარია. ვინ იცის, რა უნდათ? რა აწუხებთ? იქნება მათზედაც გვალვამ იქონია გავლენა?

ყველა ამ ამბების შემდეგ ბნელი ძალები ფეხზე დადგნენ. აგერ, ჩვენ რომ გეუბნებოდით, არ იჯერებდით, არც ახლა დაიჯერებთ და არ დაუბრუნდებით ძველს ცხოვრებასაო. ვაი თქვენ, სცოდავნო ბნელეთის მოციქულნო! რად გიხარიათ ხალხში ცრუმორწმუნეობის გავრცელება? შეგიძლიათ, დროებით გაიხაროთ: დღეს მეჯვრისხევში ყველაფერი თქვენებურად, ძველებურად არის. ძველებურად დაბაჯბაჯებს ბაზარში მეჯვრისხეველი დიოგენი—ნიკა. ძველებურადვე ხარხარებს ცნობილი „ხუხაც" და მისს უზრუნველს ხარხარს ბანს აძლევს „არე-მარე, მთა და ბარი".

ვ. გიუნაშვილი.

# სპარსეთი

**რუსეთი და სპარსეთი.**

რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ჯარი აღარ გაგზავნოს ქალ. არდებილში, („ბ.")

სპარსეთის სამხედრო სამინისტრო ამზადებს რაზმს, რომელიც თავრიზში გაიგზავნება რუსის ჯარის მაგივრად.

**შეთქმულების აღმოჩენა.**

რამდენისამე დღის წინად თეირანში აღმოაჩინეს შეთქმულობა უცხოელ აგიოცერთა წინააღმდეგ. შეთქმულთაგან ზოგიერთი დაიჭირეს.

**გაფიცვა ასტარის საბაჟოში.**

სპარსეთის ასტარაში საბაჟოს დაბალმა მოსამსახურეებმა გაფიცვა მოახდინეს. მათ ჯამაგირის მომატება მოითხოვეს.

**ტაგი-ზადე.**

„რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტიც ჰმოწმობს, რომ მეჯლისის პირველ დეპუტატად ნამყოფს ტაგი-ზადეს დიდის ამბით დაუხვდნენ თეირანელები. ტაგი-ზადეს მოკლედ მადლობა გადუხდია ხალხისთვის და მაშინვე წასულა თავის ამხანაგის, მეჯლისის დეპუტატად ნამყოფის მირზა-იბრაჰიმის საფლავზე. მირზა-იბრაჰიმი მაჰმად-ალი-შაჰმა სიკვდილით დასაჯა შარშან მეჯლისის განადგურების დღეს.—ტაგი-ზადე სწორედ იმ დღეს მისულა თეირანში, რა დღესაც იგი ერთის წლის წინად მაჰმად-ალი-შაჰმა განდევნა თეირანიდან.

**სიკვდილით დასჯილი შეიხ-ფაზლულა.**

სიკვდილით დასჯილი შეიხ-ფაზლულა იყო უმთავრესი მუშტეიდი თეირანისა. მან სწავლა დაასრულა ნეჯეფში. მექრთამეობით იგი მეტად მალე გამდიდრდა და მალე რეაქციონურ პარტიის მეთაურად გახდა. მეჯლისის დროს მან შავრაზმელების ჯგუფი შეადგინა, წმიდა ქალაქ შაჰ-აბდულ-აზიმის ბესტში ჩაჯდა. და შეუდგა ბეჯით აგიტაციას კონსტიტუციის წინააღმდეგ. რაკი იცოდა, რომ ამ წმიდა ადგილში ხმას ვერავინ გასცემდა, იგი თავხედურად ასასაცილებდა მშვიდობიან მლოცავებს, მეჩითის კათედრიდან წყევლა-კრულვას უთვლიდა კონსტიტუციის მომხრეებს და უვიც ხალხს უქადაგებდა, კონსტიტუციონალისტები,—ეს ისლამის მტრები—უმოწყალოდ გაწყვიტეთო. 1907 წელს დეკემბერში იგი სანიე-ჰაზრატთან ერთად ისლამის სახელით მხეცურად იგლეჯდა და აწიოკებდა ხალხს. მეჯლისის განადგურების შემდეგ მან მუქარით უარი ათქმევინა მოქალაქეებს კონსტიტუციაზე და თეირანის ნაძირალების მანიფესტაციას ამართვინებდა მაჰმად-ალი-შაჰის წინააღმდეგ, როდესაც იგი კონსტიტუციის მიცემას მოინდომებდა ხოლმე, შეიხ-ფაზლულამ ამოათხრევინა საფლავიდან გვამი ეიდ-აბდულჰმიდისა, თავისუფლებისთვის ბრძოლის პირველის მსხვერპლისა—და სახალხოდ დააწვევინა.

როდესაც თეირანის სხვა უმთავრესი მუშტეიდები ბესტში ჩასხდნენ ოსმალეთის საელჩოსა და შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩითში და კონსტიტუციის აღდგენა მოითხოვეს, შეიხ-ფაზლულამ შეთქმულობა გამართა მათ წინააღმდეგ და ერთ დამეს შაჰ-აბდულ-აზიმში ოთხი მუშტეიდი მოაკვლევინა. როდესაც წარსულ ივნისში შაჰმა როგორც იყო აღადგინა კონსტიტუცია, შეიხ-ფაზლულამ განიზრახა გამოჩენილ კონსტიტუციის მომხრე მინისტრების დახოცვა, მაგრამ რევოლიუციონერებმა მალე აიღეს თეირანი და სისხლის მსმელ შეიხ-ფაზლულას შეუსრულებელი დარჩა თავისი ბოროტი განზრახვა. დასასრულ, რევოლიუციის გამარჯვების შემდეგაც შეიხ-ფაზლულამ კიდევ გამართა შეთქმულობა ახალი მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს განზრახვა მალე შეიტყვეს, შეიხ ფაზლულა დაატუსაღეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. მუშტეიდის სიკვდილით დასჯა ახალი მოვლენაა სპარსეთისთვის: აქამდე მუშტეიდებს სამართალშიაც არ აძლევდნენ, შეიხ ფაზლულა დასაჯეს მარტო უკანასკნელ შეთქმულობისთვის, რადგან წინანდელი ბოროტ-მოქმედებანი ნაპატიები ჰქონდა საყოველთაო ამინისტიის ძალით.

# ოსმალეთის ამბები

**საალყო წესები სტამბოლში**

გამოაცხადეს სულთნის ბრძანება, რომლის ძალით საალყო წესები სტამბოლში 1910 წლის მარტამდე დარჩება.

**რუსთ-ხელმწიფე და ხონთქარი.**

რუსულ გაზეთებს შეუტყვიათ, რომ ოსმალეთის სულთანი 15 აგვისტოს მოვა ყირიმში, ლივადიაში და იქ რუსთ-ხელმწიფეს შეხვდება. ამ შეხვედრას დაესწრობიან რუსეთის პირველი მინისტერი სტოლიპინი და გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი.

# ოსმალეთ-საბერძნეთის დავა

**კრიტეს საქმე.**

პეტერბურგელ დიპლომატთა წრეები აუცილებლად სთვლიან ომს ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის. ოსმალეთის ულტიმატუმმა უარესად გაამწვავა საქმე, მფარველმა სახელმწიფოებმა მოლაპარაკება გამართეს, რომ ომი აიცილონ თავიდან ოსმალეთსა და საბერძნეთს და რომ ოსმალეთის ჯარს კრიტეზე გადასვლის ნება არ მისცენ.

ოსმალეთის საზღვაო მინისტრმა ბრძანა, რომ 4 კრეისერი, 7 ნაღმოსანი, 5 კონტრ ნაღმოსანი, 9 მსრობელი გემი და რამდენიმე მებარგულე გემი ზღვაში გავიდნენ.

მალე ინგლისის ესკადრა მოვა სუდას ნავთ-სადგურში. (კუნძულ კრიტეზე).

ავსტრიის ესკადრამ ბრძანება მიიღო ეგეის ზღვაში წასასვლელად დაემზადოს.

**ოსმალეთის მთავრობის განცხადება.**

ოსმალეთის მთავრობამ შეატყობინა რუსეთისას, რომ საბერძნეთზე დაცემა ფიქრადაც არ მოსდის ოსმალეთსაო.

**ოსმალეთის პროვინციის პროტესტი.**

ოსმალეთის პროვინციებიდან პროტესტს უცხადებენ მთავრობას, მეტად გაუბედავად იქცევით კრიტეს საქმეშიო. ტვირთის მზიდავი მუშები გაფიცვის გამოცხადებით იმუქრებიან. მონასტრის ვილაეთში დაარსდა თავისუფალ მეომართა რაზმი 5 ათას კაცისაგან.

**საუბარი ენვერ-ბეისთან.**

„რუს. სლოვ"-ს ბერლინელ კორესპონდენტს კრიტეს საქმეზე უსაუბრნია ენვერ-ბეისთან, რომელსაც ამ ჟამად ბერლინში ოსმალეთის სამხედრო აგენტის თანამდებობა უჭირავს. ოსმალეთის რევოლიუციის გმირს უთქვამს:

— საბერძნეთ-ოსმალეთის დავა ისე გამწვავდება, რომ შეიძლება „თოფი თავის თავად გავარდესო". ოსმალეთის ერთად ერთი იმედი ის-და არის, რომ მფარველი სახელმწიფოები ბეჯითად ჩაერივნენ საქმეში, თუ სახელმწიფოები ვერ მოახერხებენ იმას, რომ კრიტელებმა პატივი სცენ ოსმალეთის უზენაეს უფლებას და რომ საბერძნეთმა დაივიწყოს თავისი ოცნება—კრიტეს შეერთება,—ოსმალეთი იძულებული იქნება ჯარი დაძრას ათენისკენ. ოსმალეთის ახალ წეს-წყობილების ბედი მჭიდროდაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გადაწყდება კრიტეს საქმე. აქ საქმე მარტო ოსმალეთის თავმოყვარეობაზე როდია, კრიტე რომ საბერძნეთმა შეიერთოს, მეორე დღესვე მთელ ოსმალეთში დაიწყება საშინელი არეულობა, რომელიც ბოლოს მოუღებს ჩვენს იმპერიას. ოსმალეთის მთავრობა რომ აცხადებს, კრიტეს საბერძნეთთან შეერთებას არას დროს არ მოვითმენთო,—ეს ფუჭი სიტყვა არ გეგონოსთ. სტამბოლში კარგად იციან, თუ რა გუნებაზეა ოსმალეთის ხალხი და რა შედეგი მოჰყვება ამ საქმეს. ვიმეორებ, ოსმალეთის მთავრობა ვერც ერთს თავის მოთხოვნაზე ვერ აიღებს ხელს. თუ სახელმწიფოები მხარს არ დაუჭერენ ამ საქმეში, ოსმალეთი იძულებული იქნება საკუთარის ძალით ალაგმოს საბერძნეთი და კრიტელები.

**საუბარი კრიტეს გენერალ-გუბერნატორთან.**

კრიტეს გენერალ გუბერნატორს მიხელი დავისს, ეროვნებით ბერძენს, იმავ კრიტეს საქმეზე უსაუბრნია ფრანგულ გაზ. „ეკო დე პარიზ"-ს კორესპონდენტთან და, რასა თქმა უნდა, როსულ სხვა აზრი გამოუთქვამს:

— კრიტეს საქმე, ჩემის აზრით, მეტად სადა და უბრალოა. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მოკლე ხანში ჩვენ კიდევ ხელახლად შევეცდებით ჩვენის კუნძულის შეერთებას საბერძნეთთან. ევროპა მთელი საუკუნე უსამართლოდ გვექცევა ჩვენ, კრიტელებს. როდესაც საბერძნეთში 100 წლის წინად მოძრაობა დაიწყო დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, იმ წამსვე აჯანყება მოხდა კუნძულ კრიტეზედაც. მას შემდეგ აჯანყება კიდევ მრავალჯერ მოხდა ჩვენში და მხოლოდ 12 წლის წინად მოხდარმა აჯანყებამ მოუღო ბოლო ოსმალეთის მმართველობას კუნძულზე. საბერძნეთში და ოსმალეთში მცხოვრები ბერძნები სულაც არ გვატანენ ძალას, რომ ჩვენი კუნძული საბერძნეთს შეუერთოთ, როგორც ეს შეცდომით ჰგონიათ ახალგაზდა ოსმალებს. საბერძნეთთან შეერთება არის ანდერძი ჩვენის წინაპრებისა, რომლებმაც ზღვა—სისხლი დაღვარეს ჩვენის დამოუკიდებლობისთვის. ეს შეერთება იყო უკანასკნელი სურვილი მამიჩემისა და იქნება აგრეთვე ჩემი უკანასკნელი სურვილიც. ყოველი ქრისტიანი კრიტეზე დედის რძესთან ერთად შეიწოვს ხოლმე ამ სურვილს. საბერძნეთთან შეერთება მარტო პროგრამმა როდია ჩვენთვის, ესაა—მიზანი ჩვენის სიცოცხლისა".

# რუსეთი

✦ **არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში.** 21 სექტემბერს პეტერბურგმა სახელმწიფო სათათბიროდან გამორიცხულ დეპუტატ კოლიუბაკინის მაგიერ უნდა დეპუტატი აირჩიოს. გაზეთების სიტყვით, როგორც წინა არჩევნებში, ისე ეხლა, კადეტები გაიმარჯვებენ. კადეტები კანდიდატებად რამდენიმე პირს ასახელებენ: ო. ო. გრუზენბერგს, ი. გესენს და კუტლერს. კადეტებს აგრეთვე აზრად აქვთ წამოაყენონ სახელმწიფო სათათბიროდან გამორიცხულ კოლიუბაკინის კანდიდატურა. ამის შესახებ „რუს. სლ."-ს კორესპონდენტისთვის კადეტების ერთ ლიდერთაგანს უთქვამს, ყველას გაუკვირდება, რომ ბევრს ჩვენგანს აზრადა გვაქვს პეტერბურგიდან ისევ კოლიუბაკინის კანდიდატურა წამოაყენოს. ამ უკანასკნელ დროს პარტიაში უმრავლესობა იმის მომხრეა, რომ კოლიუბაკინის გამორიცხვისთვის მთავრობას დემონსტრაცია გაუმართოთ და დავანახოთ, რომ მიუხედავად მისი ღირსებისა, ჩვენ მაინც მისგან ათვალისწუნებულ დეპუტატს ვირჩევთ და ვენდობით. დემონსტრაცია კარგად ჩავლის, რადგან კოლიუბაკინი პოპულიარული დეპუტატი იყო და როდიჩევის და მილიუკოვის გარდა, ყველაზე მეტ თეთრ კენჭებს ისევ კოლიუბაკინი თუ მიიღებს. წამოაყენებთ თუ არა კოლიუბაკინის კანდიდატურას ეს ამ დღეებში გამოირკვევაო. კადეტების გარდა არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ სხვათა შორის, ოქტომბრისტები და უპარტიო პროგრესისტები, ოქტომბრისტები წამოაყენებენ მილიუტინის კანდიდატურას, უპარტიო პროგრესისტები ვ. დ. კუზმინ-კარავაევისას. კუზმინ-კარავაევს დიდი იმედი აქვს თურმე, რომ მას აირჩევენ.

✦ **ქრთამის ალებაც ასეთი უნდა!** როგორც მკითხველს მოეხსენება სენატორ გარინის განკარგულებით გაჩხრიკეს ველა ის მექარხნეები, რომლებიც მოსკოვის საინტენდანტსტვოს მოიჯარადრეები იყვნენ. მოიჯარადრეებს გაჩხრეკის შემდეგ სხვა და სხვა საანგარიშო წიგნები ჩამოართვეს. რევიზიას ამ წიგნებში ისეთი ამბები ამოუკითხავს, რომ თქვენი მოწონებული-მოგიყვანთ რამდენიმე ცნობას. ძმებ ალაფუზოვების და ტილ და კომპანიის საანგარიშო წიგნებში დაწვრილებით ყოფილა აღწერილი ვის რამდენ ქრთამს აძლევდნენ. 1906 წელს საინტენდანტსტვო ტილ და კომპანიის სავაჭრო სახლს შეჰკრია პირობით. ამ პირობის ძალით განსაზღვრულ დროში ზემოდ მოხსენებულ სავაჭრო სახლს საინტენდატსვოსთვის 700,000 მანეთის საქონელი უნდა ჩაებარებინა. ამისთვის ტილ და კომპანიის სავაჭრო სახლს საინტენდატსტვოს მოხელეებისთვის ჯარიმად მიუცია 73,000 მანეთი! მარტო სტოლის უფროსისთვის მიუციათ 43,000 მანეთი! დანარჩენი ფული, 33,000 მანეთი წვრილ მოხელეებისთვის დაურიგებიათ. ასე რომ მოხელეები ჯარიმად იღებდნენ 10%. ზოგიერთ შემთხვევაში ამასაც არა სჯერდებოდნენ და 13% იღებდნენ. სალდათების ფეხსაცმელების შეკვეთის დროს უფრო მეტსაც, რადგან აქ მექარხნეს შეუძლიან როგორიც უნდა ისეთი ტყავი ახმაროს და რომ მოხელეებმა შარი არ მოუდონ ფულსაც კარგა ბლომად აძლევს. ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ მექარხნეს სტოლის უფროსისთვის ქრთამად ერთდროულად 100,000 მანეთი მიუცია! 1836 წელს ტილის ქარხანას საინტენდატსტვოს მოხელეებისთვის ერთდროულად 125,000 მანეთი მიუცია და ეს ამოდენა ფული მხოლოდ მიტომ, რომ მოხელეებს მოუხერხებიათ და სახაზინო საცვლების სამკერვალო დაუხურიათ და ხუთი წლით ტილის ქარხნისთვის გადაუციათ. როდესაც ვადა გასულა ტილის ქარხანას ხელმეორედ „გადაუხდია" ეს 125,000 მანეთი და სამკერვალო ხელმეორედ ხელში ჩაუგდია და ასე ყოველთვის რუსეთ-იაპონიის ომის დროს ერთი წლის განმავლობაში ამ სამკერვალოს დაუმზადებია და ხაზინისთვის მიუყიდნია 20,000,000 მანეთის საცვალი, აქედან საინტენდატსტვოს მოხელეებს ქრთამად აუღიათ 3,000,000 მანეთი! ომის გათავების შემდეგ ტილის და კომპანიის სავაჭრო სახლს მოუხერხებია (რა თქმა უნდა ქრთამებით) და დაუხურვინებია მოსკოვის ოლქის ყველა სახაზინო სამკერვალოები. წელიწადში ეს სავაჭრო სახლი ამ სამკერვალოებში 6,000,000 მანეთის საცვალს ამზადებდა თურმე და მოხელეებს ქრთამად 80,000 მანეთს აძლევდა! მოხელეების „დღესასწაული" მაშინ დგებოდა თურმე, როდესაც ალაფუზოვების და ტილის ქარხნები ერთმანეთს ეცილებოდნენ. ამ დროს მოხელეები ორთავე მხარისგან იღებდნენ ქრთამებს და ქრთამი რა თქმა უნდა, ორკეცდებოდა. რევიზიას უკვე შეუსწავლია მექარხნეების საანგარიშო წიგნები და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ქრთამები წლითი-წლობამდის იზრდებოდა. „ანგარიშების" გასასწორებლად მოსკოვია საინტენდატსტვოს მოხელეები პეტერბურგში (აქა სცხოვრობენ მექარხნეები) მიდიოდნენ ხოლმე ხშირად 10-20 კაცი ერთად და აქ აშკარად, ყველას თვალ წინ იჯიბავდნენ აურებელ ფულს.

„გოლ. მოკ." იუწყება, რომ რუსეთის საინტენდანტსტვოების უფროს გენერალ პოლიაკოვს სისხლის სამართალში აძლევენო. გაზეთის სიტყვით ამას კავშირი აქვს სენატორ გარინის რევიზიასთან.

✦ **შეკითხვისთვის მასალების მოგროვება.** რადგანაც ზოგიერთ ქალაქებში, როგორც უფასა, კავკავსა და ნოვოსენაკში, მთავრობამ ნება არ დართო სოფლის მასწავლებლების კურსები გაეხსნათ, ამიტომ ზოგიერთი პირები და კერძო დაწესებულებანი უკვე შესდგომიან ამის შესახებ მასალების შეგროვებას. ეს მასალა გადაეცემა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს, რომლებიც საერო განათლების მინისტრის სახელზე შეკითხვას შეიტანენ.

✦ **თურქესტანის რევიზია.** თურქესტანის ჩხრის რევიზია თითქმის დასრულდა. სენატორი პალენი და [illegible] მოხელეები პეტერბურგში დაბრუნდნენ და, თურქესტანში მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩა, რომლებიც ამ მოკლე ხანში დაბრუნდებიან პეტერბურგს. ერთი თვის დასვენების შემდეგ სენატორი პალენი ისევ დაბრუნდება თურქესტანში. ამ ერთ თვეში პალენი სისტემაში მოიყვანს შეკრებილ მასალას. როგორც გამოირკვა, თურქესტანში მთავრობა უვარგის მოხელეებს გზავნიდა. შიდა რუსეთში არ გამოდგა მოხელე, იმ წამსვე თურქესტანისკენ უკრავდნენ თავს. რა თქმა უნდა ამისთანა ელემენტები კარგ არაფერს გააკეთებდნენ და აკი არც აკეთებდნენ. რევიზიას ჩასვლისათანავე სრულიად შემთხვევით გაუგია, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხელეები სხვა ხარჯის გარდა ადგილობრივ მცხოვრებლებს და ნამეტან ყირგიზებს თავიანთ სასარგებლოდ განსაკუთრებულ ხარჯს აწერდნენ. ეს განსაკუთრებული ხარჯი კარგა ბლომად ყოფილა, თვითეული მამაკაცი მოხელეების სასარგებლოდ 5 მანეთს იხდიდა და წელიწადში რამდენჯერმე. ხარჯის აკრეფა სულ უბრალოდ ხდებოდა თურმე. დაიბარებდა მოხელე მამასახლისს, ეტყოდა შეკრიბე ფულიო და ორი-სამი დღის განმავლობაში მზად იყო. რევიზიის წევრები ბევრსა ცდილან ყირგიზებისგან გაეგოთ, რაში უხდიდნენ ამ ფულს, მაგრამ ამაოდ. რა ვიცით, ამბობდნენ თურმე, მოხელეები გვაწერდნენ და ჩვენც ვიხდიდითო. როდესაც ყირგიზებმა გაიგეს თურმე, რომ რევიზორები მიდიანო, ძალიან შესწუხდნენ, ესენიც ფულს მოითხოვენ და რა წყალში ჩავცვივდეთო. ყირგიზებს ძალიან გაჰკვირვებიათ, რომ რევიზორებს ფული არ გამოურთმევიათ და ასე გასინჯეთ მადლობაც კი გადაუხდიათ.

# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ :**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**ს ა ღ ა მ ო თ ი :**
**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—141)




ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ"

**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**
**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე**. საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—59)

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.